# დროება

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

№ 268 ოთხშაბათი, 2 დეკემბერი 1909 წ. № 268

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ელირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელახლა არ განიხილავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**
**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**

წარმოდგენა № 20. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 20.

**აბონიმენტი 8 დე**

ხუთშაბათს, 3 დეკემბერს, 1909 წ. ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა **პართენ გოთუასი.**

## პარტიის კაცი?!

პიესა 4 მოქმედ. პართენ გოთუასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი მ. მდივანი, ე. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამძე, ი. გრიშაშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხამშელი, კ. მესხი, მურვანიშვილი, მგალობლიშვილი, ი. ზარდალიშვილი, ვ. მატარაძე, ი. ყიფიძე, შ. საფაროვი და ვ. ურუშაძე.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 12 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-დე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეებისათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

**ვისაც აბონემენტის ფული შემოტანილი არ აქვს სრულიად, თეატრში არ შეუშვებენ.**

მზადდება წარმოსადგენად ახალი პიესა ვ. ყიფიანისა „სამეგრელოს მთავარი ლევან" ამ პიესისათვის იხატება დეკორაციები და იკერება ტანისამოსი. „ნერონი", 10 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა „წყურვილი", ახალის დეკორაციებით.

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

საიუბილეო **ავლაბრის თეატრი** წარმოდგენა

(დირექცია ამო-ხარაზიანი)

**კვირას, 6 დეკემბერს, 1909 წ.**

## ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის

**30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად**

ქართველთა და სომეხთა დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა შეერთებულ დასების მიერ **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

1. ქართულად **ორი ობოლი** მე-5 მოქ. დენიერისა, თარგ. ცაგარლისა.

2. სომხურად **დაქცეული ოჯახი** მე-3 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.

3. ქართულად **ხანუმა** 1-ლი მოქ. ა. ცაგარლისა.

4. საკონცერტო **განყოფილება**

რომლის დროსაც ქართულ-სომხურ დრამატიულ ხელოვნების მოყვარულნი მიულოცავენ იუბილიარს დღესასწაულს. ქართული მომღერალთა გუნდი შეასრულებს რამდენსამე სიმღერას ბ-ნ ჩარკვიანის ლოტბარობით, ხოლო სომხურ მომღერალთა გუნდი ბ-ნ მურადიანისა.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** ✦ **ადგილების ფასი 10 კ.—დან 80 კ.—მდე.**

ამ წარმოდგენის შემოსავალი გადაეცემა გაბუნია-ცაგარელს.

ვისაც სურს დღესასწაულში მონაწილეობა მიიღოს, უნდა მიმართოს ავლაბრის თეატრში ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე ბ. საფარიანს.

რეჟისორი **ს. სვიმონიძე.** გამგე **თ. ნასიძე.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
**მაღლაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 1—2-ნახ. ს.
**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.
**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლე ი 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—6.—52)

**მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის**

## ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე

## მათრახი



და სალამური

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს აგვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთად

## პრემიად გაეგზავნება ახალი კრებული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი.

**წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მან.**

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზრდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლად შემოიტანონ პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს, პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: პირველად 2 მან. 50 კაპ. დანარჩენი 2 მან, 50 კაპ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმავ ფორმატით და იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიიღებენ: **აზიანი, ბლიაძე, განჯის-კარელი, ეშმაკი, ვოლდემარი, ზომლეთელი, თურდოს-პირელი, იასამანი, კენტი, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, პიტნ, ტ. რამიშვილი, ჩუხაძე, რუშაველი, ტუქსიშვილი, ფონ-ტეფო, ქუჩიშვილი, შხანკოლა** და სხვ.ნი.

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კაპ.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი. Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома" Василію Карамановичу Болквадзе. (10—6.—1)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდა ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ს. **ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
ი. გ. **გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ვ. ს. **მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.
ბ. ა. **პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
ე. გ. **ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—219)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—66)

**ექიმი ა ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის ქუთხე). (100—ხალ.—74)

**ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა** იღებს ავადმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (25—6.—12)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი** არჩენს სპეც. ქირურ., სამ.-ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ მედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის მეხ. N 5, ს. მაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ხალ.—60)

**ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (ხუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—გვ.—115)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—309)

**ქუთაისი მასაჟით სამკურნალო კაბინეტი მ. ტ. ბალანჩივაძისა.** ყვავილის აცრა, აგრეთვე სახის მასაჟი ორთქლის ვანებით. ვიღებ ავადმყოფებს დილ. 9 ს ნაშ. 2 ს. ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ ჭილაძის სახლებში. (25—6.—11)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—6.—119)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

მ. **ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.
ნ. **ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.
ვ. **ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.
ი. **ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.
მ. **კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.
მ. **მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
ლ. **მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.
ა. **კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ხალ.—71)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—62)

**დაიბეჭდა და ისყიდება ახალი — წიგნი: —**

## „ნატო გაბუნია"

30 წლ. სასცენო მოღვაწეობის სახსოვრად

**გამოცემა ქარ. დრ. საზ—ხა**

**ფასი 30 კ.**

ვინც ათზე მეტს იყიდის, მანათზე 20% დაეთმობა. საწყობი დრამ. საზ. კანტორაში. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора груз. драмат. об—ва. (10—6)

**ქუთაისში** კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—6.—57)

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ჭიათურის შავი-ქვა** მკითხველებმა შეიძლება არც-კი იცოდნენ რომ მალე ჭიათურის შავი-ქვის წარმოება მსხვილ კაპიტალისტების ხელში გადავა. ევროპიელი კაპიტალისტები ეს რამდენიმე წელიწადია სცდილობენ შავი-ქვიან ადგილების ხელში ჩაგდებას. რგანსა, ღვიმევსა, წირქვალსა, ითხვისსა, შუქრუთსა, პერევისასა და სხვა სოფლებში შეისყიდეს დიდი ადგილები წერეთლებისაგან, ადგილობრივ წვრილმან მემამულეთაგან და მესაკუთრე გლეხებისაგანაც. კაპიტალისტებს ხელს უწყობთ ეხლანდელი დრო: უკანასკნელ წლების შიმშილი, სილარიბე და უფულობა იძულებულ ჰყოფს წვრილს მესაკუთრებს იაფად გაჰყიდოს მამული. დიდი მამულები შეიძინა ამ რიგად გერმანიის შალკერის სამთო-მადნო საზოგადოებამ. ასეთ მოვლენასთან შებრძოლება გადაუწყვეტია ერთს ჯგუფს წვრილმან მწარმოებლებისას. გედევან ჩუბინიძის და სხვების ინიციატივით არსდება სააქციონერო საზოგადოება. თვით ჩუბინიძეს საზოგადოების ძირითად თანხად შეუტანია ფულად და მამულით 500,000 მან. წესდება საზოგადოებისა უკვე წარედგინა სათანადო მთავრობას. როგორც გადმოგვცეს ახალი სააქციონერო საზოგადოება მოქმედებას შეუდგება მომავალი წლიდან.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** ორშაბათს, 30 ნოემბერს, მოხდა სხდომა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა. გამგეობის მოთხოვნილებაზე ქ-ნ დემურიას უცნობებია, რომ ახალი წრე დამოუკიდებულობის გამოცხადებამდე მოქმედებდა უნივერსიტეტის სახელით, მთელი ქონება და საქმის წარმოება სცენის მოყვარეთა დასის რეჟისორს ბ-ნ შათირიშვილს ებარა და მას უნდა მიმართოთ მაგ მოთხოვნილებითაო. გამგეობამ, მიიღო რა სახეში ის გარემოება, რომ ოფიციალური თავმჯდომარე სექციისა იყო ქ-ნი დემურია, დაადგინა, კიდევ მიეცეს წინადადება ქ-ნ დემურიას, წარუდგინოს საზოგადოებას ინვენტარი და ანგარიში სექციის მოქმედებისა. — თავმჯდომარემ აცნობა სხდომას, რომ ქალაქის თავის მოადგილეს შუამდგომლობაზე —მიეცეს ნება სახალხო უნ-ვე-სიტეტს ქართულ და სხვა ენებზე ლექციების კითხვისა ზუბალაშვილის სახალხო სახლში, ნამესტნიკმა აღუთქვა საქმის ვითარების გამორკვევა და შუამდგომლობის შეწყნარებაო. გამგეობამ დაადგინა, სთხოვოს ალ. ხატისოვსავე, წაიკითხოს ლექცია ზუბალაშვილის სახლში ამ სათაურით „ანფისა და ანატემა".

✦ **როტმისტრის მოკვლა.** 30 ნოემბერს დილით საბურთალოზე გზაზე ნახეს გვამი ტფ. გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მოხელის როტმისტრის ლორის-მელიქოვისა. როგორც ეტყობა, ლორის-მელიქოვი დაუხრჩვიათ. ჯერ არ არის გამორკვეული ვის ჩაუდენია ეს ბოროტმოქმედება და რა მიზეზით. გამოძიება სწარმოებს.

✦ **მეფუტკრეების გამოფენის დახურვა.** გუშინ წინ, 30 ნოემბერს, დაიხურა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში გახსნილი გამოფენა მეფუტკრეობისა. გამოფენაზე ნაკლებად დაიარებოდა ხალხი.

✦ **წ.-კ. საზოგადოების განყოფილება ფოთში.** ფოთში დღემდე არ გახსნილა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილება იმ მიზეზით, რომ ფოთში არც ერთი წევრი არა ყოფილა თურმე საზოგადოებისა. ეხლა კონ. გამყრელიძეს მეთაურობით ფოთში 40-მდე კაცი ჩაეწერა საზოგადოების წევრად და საწევრო ფული და წევრთა სია გამოუგზავნა მთავარ გამგეობას. მომავალ საზოგადო კრებაზე აღნიშნულ წევრთა მიღების შემდეგ, ფოთელი წევრები მოახდენენ კრებას, აირჩევენ გამგეობას და შეუდგებიან მოქმედებას.

✦ **ტრამვაის გამოსყიდვა.** მომავალ წლიდან უფლება ეძლევა ტფ. ქალაქის თვით-მმართველობას გამოისყიდოს ბელგიის უსახელო საზოგადოებისაგან ტფილისის ტრამვაი. ტრამვაის გამოსასყიდად საჭირო ხუთ მილიონ მანეთამდე.

✦ **დასაფასებელი გადასახადი.** ინჟინერს ისაევზე ქალაქის დასაფასებელ გადასახადისა დარჩენილი ყოფილა 1335 მან. 18 კაპ. შეძლებულ სახლის პატრონს ათი წლობით არ უხდია გადასახადი, მაშინ როდესაც ღარიბების სახლებს „სეკვესტრიც" დაადვეს აგენტებმა და ფული გადაახდევინეს. ქალაქის გამგეობამ გუშინ მისწერა რკინის გზის სამმართველოს, სადაც ბატონი ისაევი მსახურებს, დაუჭირონ ისაევს ჯამაგირი დასაფასებელ გადასახადის შესავსებად.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** 30 ნოემბერს ტფ. ქალაქის საბჭომ თითქმის მთელი სხდომა მოანდომა 1910 წლის აღრიცხვის განხილვას. ვიდრე აღრიცხვის განხილვას შეუდგებოდა საბჭო, განსახილველად წარედგინა რამდენიმე წვრილმანი საქმე. საბჭომ ნება დართო ტრამვაის დირექციას, ელექტრონი გაიყვანოს მეტეხის ციხეში სახელოსნოებისათვის. 150 მან. შემწეობა აღმოუჩინა ქალაქის გამგეობის ყოფილ მოხელეს კ. ფირცხალაშვილს, რომელიც სამხედრო ბეგრის მოსახდელად გაუწვევიათ, და დაამთავრა ქალაქის დამფასებელთათვის შემუშავებულ წესის განხილვა. საბჭომ განიხილა აგრეთვე განცხადება ვ. ს. ვარდანიანისა, რომელმაც ითხოვა მისცემოდა მონოპოლიური უფლება ავტომობილებით საქონლის გადაზიდგადმოზიდვისა სადგურიდან ქალაქში. საბჭომ უარი სთქვა იმ მოსაზრებით, რომ ქალაქს უფლება არა აქვს ვისმეს მონოპოლიური უფლება მისცეს. საბჭომ აირჩია აგრეთვე წევრები ტრამვაის, სატყეო-საბალე და დარჩენილ გადასახადების კომისიებისა. კომისიის წევრებად თითქმის ძველები იქმნენ არჩეული. დასასრულ საბჭო შეუდგა შემოსავლის აღრიცხვის განხილვას. მომავალ წელს ქალაქს მოელის 700,650 მან. დასაფასებელ გადასახადის. 1909 წ. შემოსავალი ამ წყაროდან ნავარაუდევი იყო 664,650 მან., ნამდვილად-კი შემოსულა 592,873 მან. 5 კაპ. მომავალ წლისათვის ქალაქმა ამ შემოსავლის მუხლი გაადიდა 34,000 მან., რადგანაც ქალაქი იზრდება და, მაშასადამე, შემოსავალიც იმატებსო. სავაჭრო დაწესებულებათაგან გადასახადი ქალაქს შემოუვა 29,500 მან., ცხენის გადასახადისა—34,000 მან., ქალაქის მამულებისა—72,000 მ., ქალაქის წყლისა—383,000 მან. და სხვა. აღრიცხვის ზოგიერთმა მუხლმა კამათი გამოიწვია. ხმ. ხმ. სარქისიანმა, ფრიდონოვმა და სხვებმა წინადადება შეიტანეს, ქალაქის საქიმიო ლაბორატორიამ მეტი მხნეობა გამოიჩინოს მუშაობაში რომ შემოსავალი მეტი იყოსო. ამ წინადადებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. გამგეობის წევრმა ალ. მ. არღუთინსკიმ, ექიმმა ლუნკევიჩმა და სხვებმა განაცხადეს, საქიმიო ლაბარატორიას სანიტარული ხასიათი აქვს, იგი თავის გამოკვლევებით დახმარებას უწევს ქალაქს საზოგადო ჯანმრთელობის დაცვის საქმეში და ამ დაწესებულებას არ უნდა მოვთხოვოთ კერძო საქმეების გაკეთება შემოსავლისათვისაო. მცირე კამათი სხვა მუხლებმაც გამოიწვიეს და აღრიცხვაში თითქმის საგრძნობელი ცვლილება იქნა შეტანილი. მომავალ წელს საერთო შემოსავალი ქალაქის ხაზინისა ნავარაუდევია 1,891,620 მან.

✦ **ილია ჭავჭავაძის ფონდი.** წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად მიიღო: სიღნაღიდან—110 მან. და ქართურიდან—66 მან. 73 კაპ.

✦ 30 ნოემბერს ტფილისში მოხდა შემდეგი ამბები: გოლოვინის პროსპექტზე დააპატიმრეს ტფ. მოქალაქე დავით სხირტლაძე, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ თავის ნებით დაბრუნებულა. უპატრონოდ და უსახსროდ დაგდებულ ბავშს გეეორქ ვართაზარიანცს (15 წ.) ამ დღეებში მიუმართავს თხოვნით კიროჩნი ქუჩაზე მერძევეს დუქნის პატრონის სტეფანე სააკოვისათვის და უთხოვნია სამუშაო, სააკოვი დათანხმებულა, მაგრამ უსარგებლნია ბავშვის გამოუცდელობით და დამლამობით თავის პირუტყულ სურვილის დასაკმაყოფილებლად. ბავშმა ეს ამბავი პოლიციას შესჩივლა. სააკოვი დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს. სლეპცოვის ქუჩაზე მცხოვრებ გენერლის ქვრივის სოფიო ბუქყოვისთვის ქურდებს მოუპარავთ 125 მან. ნივთები. ეჭვი მიიტანეს მოსამსახურე კატო ყარანაშვილზე, და მესარეცხე დარია ბუროვზე. რომელნიც დაიმალნენ. 30 ნოემბერს დააპატიმრეს თელავის მცხოვრები კარაპეტ ოჰანეზოვი, რომელსაც ოლქის სასამართლოს განკარგულებით დაეძებდნენ. 30 ნოემბერს პავლე კორაშვილმა პოლიციას განუცხადა: ჩემი ცოლი ფეხმძიმე იყო. იგუმენსკის მაზრის გლეხის ცოლმა მ. ბ. მისცა წამალი მუცლის მოსაშლელად. ქალი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გადაცვლილა. მ. ბ. გამომძიებელს გადასცეს. 29 ნოემბერს ჩხრეკის დროს პოლიციის მე-10 ნაწილში დააპატიმრეს 36 უპასპორტო კაცი.

—

**შეცდომის გასწორება.** იუბილეის ანგარიშში შეცდომით გვქონდა აღნიშნული, ვითომ ადრესი, ფოთიდან წ. კ. საზოგადოების განყოფილებისაგან მიერთმიათ იუბილიარისთვის. უნდა იყოს ფოთის საზოგადოების წარმომადგენელმა გ. გამყრელიძემ იუბილიარს მიართვა ფულად 100 მან. და გადასცა ადრესი.

### ქუთაისი

✦ **სესხი.** ქალაქის საბჭომ დაადგინა, რომ საავადმყოფოს დასამთავრებლად და სხვა და სხვა სავალ

დებული ხარჯის დასაფარავად, ისესხოს უძრავ მამულების გირაოს ქვეშ 63,699 მანეთი.

✦ **წყლისაყვანის პროექტის დამტკიცება.** საქალაქო საქმეთა საკრებულომ მოიწონა ქალაქის საბჭოს მიერ შემუშავებულ პირობის პროექტი ქუთაისში წყლისაყვანის მოწყობისა და კიდეც წარუდგინა ნამესტნიკს, რომელიც თავის მხრით გაგზავნის მას დასამტკიცებლად შინაგან საქმეთა სამინისტროში.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** 29 ნოემბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში, თავ. ს. დ. წერეთლის თავმჯდომარეობით, მოხდა სახალხო უნივერსიტეტის წევრთა კრება, რომელსაც დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო. კრებას უნდა აერჩია გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრნი. გამგეობის წევრებად ერთხმად არჩეულ იქმნენ: ა. ა. გარსევანაშვილი, გრ. გიორგაძე, ე. ი. ნიკოლაძის ასული, გ. დ. ნასარიძე, ს. ი. რობაქიძე, მ. ა. ქიქოძე, ი. მანდარია, ექიმი კაკიტელაშვილი, ამ. სვანაძე, ჩ. შარაშიძის ასული, მ. ბერიშვილი, ე. ბ. ხელთუფლიშვილის ასული, ი. გ. კემულარია, დ. უზნაძე, და ბ. ბიბინეიშვილი. მათ კანდიდატებად: თ. გ. მაჭავარიანის ასული, ე. ნ. წულუკიძისა, დ. ს. კლდიაშვილი, ი. ი. კვიცარიძე და პ. თვალჭრელაძე. სარევიზიო კომისიის წევრებად ერთხმადვე არჩეულ იქმნენ: ვ. ა. ბურჯანაძე, ს. თ. ხუნდაძე, გ. მუმლაძე, დ. ბ. მდივანი და ბ. ა. ლეჟავა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კრებაზე ჩვეულებრივს პარტიულ განხეთქილებას არ უჩენია თავი, როგორც გამგეობის, ისე სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ სხვა და სხვა წრისა და მიმართულების წარმომადგენელნი. საზოგადოება ძლიერ გულ-მხურვალედ მიეგება ამ კეთილ საქმის დასაწყისს, რაც იქიდანაც სჩანს, რომ საზოგადოებაში 250 კაცი უკვე ჩაეწერა და ფულიც შემოიტანა. წლიური საწევრო გადასახადი თითო მანეთია.

✦ **ილია ჭავჭავაძის სახელობის სასწავლებელი.** ნამესტნიკმა ნება დართო, რომ ქალაქის მეოთხე სასწავლებელს ილია ჭავჭავაძეს სახელი ეწოდოს.

✦ **ტიმჩენკო-რუბანის იუბილეი.** ამას წინად საზოგადოების მიერ არჩეულმა კომისიამ შეიმუშავა შემდეგი პროგრამა ქ-ნ მ. ი. ტიმჩენკო-რუბანის საიუბილეო დღესასწაულის გასამართავად: 1) დღესასწაული გადახდილ იქმნას 1910 წლის იანვარში; 2) იუბილეს დღეს ქალთა უფასო სკოლის სადგომში გადახდილ იქმნეს პარაკლისი ქალაქის გამგეობისა და სხვა და სხვა დაწესებულებების წარმომადგენელის და სკოლის მოწაფეთა თანადასწრებით; 3) მიართვან საზოგადოების სახელით ადრესი და რამე საჩუქარი (ნივთი); 4) იუბილიარის სურათი ჩამოიკიდოს სკოლის დარბაზში; 5) ეთხოვოს ქალაქის თვითმმართველობას, რომ დაუნიშნონ მას პენსია; 6) ეთხოვოს ადგილობრივ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, იუბილეს დღეს დილით გამართოს უფასო წარმოდგენა სკოლის ახლანდელისა და ყოფილის მოწაფეებისათვის და სხვ.

## ტფილისი, 2 დეკემბერი

/სიტყვა, წარმოთქმული ბ-ნ მიხეილ მაჩაბლის მიერ პეტერბურგში რუსეთის თავად აზნაურთა ამრჩეველთა წინაშე, მოულოდნელი არ იყო. ბ-ნ მაჩაბელის პოლიტიკური იდეალები არავისთვის დასამალი არ არის. იგი არც მალავს თავის იდეალებს, ყველგან და ყოველთვის საჯაროდ აღიარებს მათ./ ბ-ნი მაჩაბელი იყო ამ რამდენიმე წლის წინად იმ მცირე რიცხოვან თავად-აზნაურთა გუნდში, რომელმაც ავტონომიის საკითხს მხარი არ დაუჭირა, როდესაც ეს საგანი თავად-აზნაურთა კრებაზე იყო წამოყენებული. ერთის სიტყვით, ბ-ნი მაჩაბელი, ჩვეულებრივი სიტყვა რომ ვიხმაროთ, ნამდვილი კონსერვატორია და ამასთან იმგვარი, რომელსაც თავისი კონსერვატორობა პროგრესიულ და სასარგებლო მოვლენად მიაჩნია. ასე რომ ჩვენ არ გაგვიკვირდა, როდესაც წავიკითხეთ „ზაკავკაზიეში“ ბ-ნ მაჩაბლის ზემოდ აღნიშნული სიტყვა, სადაც ლოიალურ ფილოსოფიის ჩვეულებრივი ლექსიკონი ვპოვეთ—ღმერთი, მეფე, გვირგვინი, სამშობლო... და სხვა. /მაგრამ ბ-ნ მაჩაბლის სიტყვამ სხვა მხრივ მიიქცია ჩვენი ყურადღება. ბ-ნი მაჩაბელი შეეხო ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას და მისი პოლიტიკურ აზროვნების დახასიათებაც იკისრა. ყველამ იცის, რომ ილია ჭავჭავაძეს სახელმწიფო საბჭოს მემარჯვენენი უნდობლობის თვალით უყურებდნენ, განსაკუთრებით იმის შემდეგ, როდესაც იგი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი აღმოჩნდა და ამ საკითხის გარჩევის დროს თავისი კენჭიც მისცა სიკვდილით დასჯის გაუქმების მომხრეთ სახელმწიფო საბჭოში. ასე რომ უნდობლობა მემარჯვენეებისა სრულიად საფუძვლიანი იყო, რადგან მათთვის აშკარა შეიქმნა ის დიდი იდეიური და ზნეობრივი განსხვავება, რომელიც არსებობდა ილია ჭავჭავაძისა და მათ შორის. ესეც რომ არ ყოფილიყო, ილია ჭავჭავაძის წარსული მოღვაწეობა, მისი ლიტერატურული და დემოკრატიული მისწრაფებანი ყოველ ქართველისთვის ნათელია) და ძალიან გავკვირდით, როდესაც ვნახეთ, რომ რაც ყველასთვის ნათელია, ის ბ-ნ მაჩაბლისთვის ამ ნათელით სრულიადაც არ არის გაშუქებული.

(ამომრჩეველთა წინაშე ჯერ ბ-ნ მარკოვს ულაპარაკნია. დაწვრილებით არ ვიცით, რა სთქვა ამ ცნობილმა მემარჯვენე დეპუტატმა. ბ-ნ მაჩაბლის სიტყვიდან კი აშკარაა, რომ მარკოვს გაუკიცხავს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა სახელმწიფო საბჭოში. ბ-ნი მაჩაბელი აღელვებულა ამ სიტყვით და ილია ჭავჭავაძის სახელის რეაბილიტაცია მოუნდომებია რუსეთის თავად-აზნაურთა ამომრჩეველთა წინაშე. „როგორ,—ამბობს ბ-ნი მაჩაბელი,—ნუ თუ დასაჯერებელია, რომ ილია ჭავჭავაძე, საქართველოს საუკეთესო შვილი, ქართველ თავად-აზნაურობის წარმომადგენელი... იმათ გუნდში ყოფილიყო, ვინც მოქმედებდა სახელმწიფოს და ჩვენი საერთო სამშობლოს მტერთა შორის .. არა მჯერა, და ამას არც ერთი ქართველი არ დაიჯერებსო... ხმა მაღლა ვაღიარებ, საქართველოს წარმომადგენელი, ქართველ თავად-აზნაურთა არჩეული სახელმწიფოს მტერი არ იყოო“. ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყო, გული მოულბეს რუსეთის თავად აზნაურებს. ბ-ნმა მაჩაბელმაც იგრძნო ეს გულის მოლბობა და თავის სიტყვის მეორე ნაწილში უფრო მაგრად და თამამად ჰგრძნობდა თავის თავს.

რუსეთის შავ-რაზმულ წრეების პოლიტიკურ ფილოსოფიის მიხედვით „სახელმწიფოს მტრად“ გამოცხადებულია ყოველი ადამიანი, ვინც კი მომხრეა რუსეთში კონსტიტუციისა და პარლამენტისა. სახელმწიფოს მტერთა ბანაკში ირიცხებიან არა მარტო უკიდურესი სოციალისტური პარტიები, არამედ კადეტებიც და ამ ბოლო დროს „ოქტომბრისტების“ მემარცხენე ფრთაც გამოაცხადეს სახელმწიფოს და სამშობლოს დამქცევლებათ და გამყიდველად. შავ-რაზმული პოლიტიკურ აზრი პარტიების კლასიფიკაციას არა სჯერდება. სახელმწიფოს და სამშობლოს მტერთა გუნდში მან მოაქცია ფინლიანდელები, ებრაელები, პოლონელები და, საზოგადოდ, ყველა „ინოროდცები“. და როდესაც ბ-ნი მარკოვი, ან პურიშკევიჩი ლაპარაკობს ხოლმე სახელმწიფოს მტრებზე, ხსენებულ პარტიები და ერები ჰყავს მხედველობაში. და დღეს იმასაც მოვესწარით, რომ მარკოვების და პურიშკევიჩების დასამშვიდებლად და დასაკმაყოფილებლად დავამციროთ და შეურაცყოთ საუკეთესო ქართველთაგანი, რომელიც, მართალია, ერთგული იყო ტახტისა, მაგრამ ამასთანავე მომხრე დემოკრატიულ კონსტიტუციის დამკვიდრებისა, მომხრე იყო აგრეთვე რუსეთის პოლიტიკურ დეცენტრალიზაციისა და საქართველოს ავტონომიისა. ნამდვილი კონსტიტუციონალისტი და ამავე დროს ავტონომისტი—აი, ვინ იყო ილია ჭავჭავაძე მარკოვის კლასიფიკაციით იგი, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მტერთა გუნდში უნდა ჩაირიცხულიყო და აკი კიდევაც ჩარიცხეს იგი ამ გუნდში რუსეთის შავ-რაზმელებმა. ბ-ნი მაჩაბელი კი, რომელსაც უნდოდა ამ შავ-რაზმელების გულის მოგება, არ მოერიდა სიცრუეს, მოატყუა ამომრჩეველნი, ფიქრი ნუ გაქვთ, ილია ჭავჭავაძე პარლამენტის და რუსეთის დეცენტრალიზაციის მომხრე ე. ი. სახელმწიფოს და სამშობლოს მტერი არ იყო, არამედ ერთგული მიმდევარი „რუსეთის კავშირის“ მოღვაწეობისაო.)

ამის გამო პროტესტს ვაცხადებთ და ჩვენს ღრმა აღშფოთებასაც. თუ ქართველ თავად-აზნაურთა მიერ ამორჩეული ადამიანი შავ-რაზმელთა პოლიტიკის მომხრეა, ეს გარემოება არავითარ ნებას არ აძლევს მას ჩირქი მოსცხოს ქართველ საუკეთესო მამულიშვილის და ქვეყნის თვალში ამ მამულიშვილობის ღირსება დაამციროს საარჩევნო თუ სხვა რამ მოტივების გამარჯვების გულისათვის.

## სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

**ადგილობრივ სასამართლოს რეფორმა**

30 ნოემბრის სხდომაზე სათათბირო შეუდგა მეორედ კითხვას სასამართლოს რეფორმის შესახებ პროექტისას. ახალი არაფერი მომხდარა. ორატორები იმეორებდნენ უკვე გამოთქმულ აზრს. მემარჯვენენი დაჟინებით იცავდნენ თავიანთ წინადადებას—დარჩეს ძველი ვოლოსტის სასამართლო. სათათბირომ დაადგინა, გაუქმებულ იქმნას საეროზო უფროსის თანამდებობა და ვოლოსტის სასამართლო. ამ დღეს განიხილეს რამდენიმე მუხლი.

ამავე სხდომაზე ბარათებით დაასახელეს წევრნი იმ კომისიისა, რომელმაც ხელ-ახლა უნდა შეიმუშაოს კანონპროექტი პიროვნების ხელ-უხლებლობის შესახებ; მემარჯვენეებმა განაცხადეს, ჩვენ მაგ [illegible] არჩევა[illegible] მონაწილეობას არ ვიღებთ, რადგან ახალი პროექტი პარტიულ ანგარიშების გასწორების შედეგიაო.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 დეკემბერი.

**საზღვარ-გარედ**

**მადრიდი.** მთელ ესპანიაში დამთავრდა არჩევნები ქალაქის თვითმართველობების ხმოსნებისა. ჯერჯერობით გამოირკვა, რომ მადრიდსა და სხვა დიდ ქალაქებში ლიბერალები და რესპუბლიკანები ამოურჩევიათ.

**ლონდონი.** 30 ნოემბერს დილის ამბით გახსნეს კაირ-კაპშტადტის რკინის გზა. ამ რიგად კაირიდან კაპშტადტში პირდაპირ რკინის გზით შეიძლება წასვლა.

**ნეაპოლი.** გამოირკვა, რომ გრანელის ახლო წყალ ქვეშ მომუშავე კაცი დაიღუპა.

**ბერლინი.** რეიხსტაგი ილაპარაკა კანცლერმა. კანცლერი თავის სიტყვაში შეეხო ელზას-ლოტარინგიის მცხოვრებთ. კანცლერმა სთქვა: ელზას-ლოტარინგიის მცხოვრებლებმა დიდის ამბით და დემონსტრატიულად გადაიხადეს ვეისენბურგში დახოცილთა სულის მოსახსენებელი პანაშვიდები. გერმანიაში არავინ არ გაჰკიცხავს, რომ ელზას-ლოტარინგიის მცხოვრებლებმა მოიგონონ თავიანთი წარსული. მხოლოდ საქმე იმაშია, რანაირ სახეს და მიმდინარეობას მიიღებს წარსულის ეს მოგონება. ელზას-ლოტარინგიის ეხლანდელი თაობა გერმანიის მფლობელობის დროს დაიბადა და აღიზარდა და მას არ შეშვენის გამსჭვალული იყოს გერმანიის საწინააღმდეგო აზრებით და მოგონებით. გერმანია სცდილობს გაუმჯობესოს ელზას ლოტარინგიის არამ თუ მატერიალური მდგომარეობა, არამედ მისცეს მას პოლიტიკური დამოუკიდებლობაც.

## ცხოვრება და ხელოვნება

### ჩვენის ლიტერატურის ზნე-ჩვეულებანი.

ეკლით მოფენილია ჩვენებურ მწერლის გზა, მრავალ-ტანჯულია იგი თავის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში სხვა და სხვა გვარის გარემოების წყალობით. არსაით მისთვის არ არის სასოებისა და იმედის, ნუგეშის სხივი, სხვას გარდა ყოველგვარი შეურაცხყოფა, ყოველგვარი ცილისწამება, ათას ნაირი ურიგო ქცევა,—აი, რას აძლევს მას საზოგადოება ჯილდოდ. ქონებრივად იგი მშიერია, სულიერად „სულით ობოლი“, ნიადაგ განმარტოებული, საზოგადოებრივად შეურაცხყოფილი... ერთადერთი მისი ჯილდო ის არის რომ მოკვდება, „პარადს“ გააკეთებენ მის უსულო გვამის ირგვლივ, მისი ტანჯულის სიცოცხლის აღსასრულით ისარგებლებს ერთი-ორი მჭერ-მეტყველი და ენა მახვილი ორატორი და მას, ვინაც ცხოვრებაში ლაფში ახრჩობდნენ, სიკვდილის შემდეგ უთუოდ მზეს, ვარსკვლავსა და სხვა და სხვა პლანეტას შეადარებენ.

ამ გულის მომშხამველის მოვლენის მოწამე ვართ ყოველ დღე, მაგრამ ეს მწარე ფიქრები ამიშალა იმ უმართებულო ქცევამ, რომელიც ასტეხეს ზოგიერთებმა ჩვენის ახალგაზდა, ფრიად ნიჭიერისა და დიდად გრძნობიერის მგოსნის ალ. შანშიაშვილის სახელის გარეშემო.

ჯერ უკვე არა ერთი ურიგო სიტყვა გამიგონია კერძოდ იმის შესახებ, თუ რად მოვიხსენიე ქებით ალ. შანშიაშვილის სახელი შარშანდელ ჩემ წლიურ სალიტერატურო მიმოხილვაში. არა მგონია, ისეთი ვინმე დარჩენილიყოს საყვედური არ ეთქვას: „კეთილად განწყობილნი“ მკიცხავდნენ, იმას გამო, რომ შესაძლოა ჩემმა ქებამ შანშიაშვილს თავს-ბრუ დაეხვიოს და დაღუპოს, „ბოროტად განწყობილნი“ კი აი ას გვარ ცილსა მწამებენ და სრულიად ჩემთვის არა თავმოსაწონებელ ეპიტეტითაც მომნათლეს: „მესაფლავე“ მიწოდეს, ვითომ და ვისაც მე ქებას უძღვნი ნიჭისათვის, იმისთვის უკვე საფლავია გამზადებული. უბადრუკთ არა იციან, რომ „მესაფლავე“ მე კი არა ვარ, ჩვენი ცხოვრებაა, ჩვენი საზოგადოებაა შრომით ალსავსე წუმპე და ჩვენი მწერლობაა ჯაჭვებით აღსავსე ჯოჯოხეთი. ჩვენში მრავალი ნიჭი, დიდის იმედის აღმძვრელი, უდროოდ და უხანოდ იღუპება და ინთქმება ჩვენის უბადრუკობისა და სიბინძურის უფსკრულში, არა იმიტომ, რომ მას ნიჭს სიამოვნებით ეგებებიან, არამედ იმიტომ, რომ იმისი ნიჭის ასაყვავებელი ნიადაგი არ არსებობს. ჩემი უფლებაა და ნებაა, რომლის შეკვეცა არავის არ ძალუძს, იმათ გარდა, ვინც ჩემს წერილებს სტამბავს—გაზეთის გამგეა იგი, თუ რომელიმე გამომცემელი—აღვნიშნო ყოველივე მოვლენა, რომელიც კი ჩემს გულს მიხვდება და კალმისკენ გამიწევს. შეიძლება დიდი სისულელე იყოს იგი, შეიძლებ უსაფუძვლო და უსაბუთო იყოს იგი, მაგრამ მე ვეკითხები ჩემს აზრსა და გრძნობას და სრულიადაც არ მეზიძლიან ვისიმე გამდლობის როლი ვიკისრო და იმაზე ვიფიქრო, ვინ როგორ გამოიყენებს ჩემს ნაწერს, ვიზე როგორი გავლენა ექმნება, ვის დაღუპავს და ვის გააკეთებს. ჩემი რწმენა, როგორც ყოველივე მწერლისა, აქ, რასაკვირველია, ღირსებაზე არ არის ლაპარაკი,—ჩემის აზრით კეთილი უნდა იყოს და ნაყოფი კეთილი უნდა გამოიღოს. თუ სხვას იგი ბოროტად მიაჩნია, უნდა იბრძოლოს აზრით ამ აზრის წინააღმდეგ. კეთილი და ბოროტი არც თუ ისე გარკვეული რამ არის, რომ მათემატიკურად მისი გადაჭრა შეიძლებოდეს. მაგრამ ამ ბრძოლის დროს ყველას ერთი უნდა ახსოვდეს, რომ ვინცა სწერს, სწერს თავისს რწმენის თანახმად, და ამიტომ არ უნდა შეიბღალოს არავისი რწმენა სხვა და სხვა ქუჩის ჭორებით და დუქან-ბაზრულის მოსაზრებით.

მეტად მძიმეა მოვალეობა კრიტიკოსისა, მით უმეტეს ქართველ კრიტიკოსისა. ჩვენში ლიტერატურას როდი აქვს ჯერ კიდევ მოპოვებული ხელ-უხლები სამეუფო და ლიტერატურა როდია წმიდათა წმიდად მიჩნეული. გარდა იმისა, რომ ლიტერატურულ მოღვაწეობას თვითვე აქვს არსებითი, თან დაყოლილი სამსალა და ძიმწარე, ჩვენში ეს ერთიორად გამწვავებულია იმის მიზეზით, რომ ჩვენის საზოგადოების აზრი და გრძნობა მეტად დაკნინებულია და დაბეჩავებული. ჩვენში ვთქვათ, კარგი სთქვი ვისამე შესახებ, ან ცუდი. შენი ნათქვამის საფუძვლიანობასა თუ უსაბუთობას კი არ განიხილავენ, დაუწყებენ ჩხრეკას სრულიად სხვას რასმე: მაგრა დამოკიდებულებაა თქვენსა და მწერლის შორის, ანა და სულ ერთია მწერლის ნათლიასა და თქვენს ნათლულს შორის, ან თქვენ სიდედრთა შორის და სხვა, და რაკი გამოჰქექენ რამე დედაბრულს ჭორს, კმაყოფილნი გაიძახიან: ამადა ამან ამ მწერლის შესახებ ესა და ეს კარგი იმიტომა სთქვა, რომ მათი გამდლები კარგი ნაცნობები ყოფილან, ხოლო ცუდი იმიტომ, რომ მათი ნათლულები წაჩხუბებულანო. ასეთი მსჯელობა ამცირებს არა თუ მთქმელს, შეურაცხყოფას აყენებს ამ უმსგავსო ჭორის საგანს მწერალს, თვით მწერლობას აგინებს და აქვეითებს. ყოველი კრიტიკა — რასაკვირველია, არის კრიტიკა ცუდი და არის კრიტიკა კარგი, ისე როგორც არის მოთხრობა მომხიბვლელი და არის მოთხრობა მოსაწყენი — თავისებური მწერლობაა. ყოველ კრიტიკოსს აქვს თავისებური შეხედულება ქვეყნიერობასა, ბუნებასა, ადამიანსა და მათ შორის მრავალგვარ დამოკიდებულებაზე. ყოველი კრიტიკოსი ამგვარად თუ იმგვარად განწყობილია, ამგვარისა თუ იმგვარის ესთეტიურისა და მორალურის პრინციპის აღმსარებელია, სწორედ ისევე, როგორც ყოველი მწერალი, ყოველი მხატვარი და, ერთის სიტყვით, ყოველი ხელოვანი.

პოეტი, მოთხრობის მწერალი, თავისს ნაწარმოებში გარდმოგვიშლის მსოფლიოს მოვლენებს და ამ მოვლენათა შორის არსებულ საიდუმლოს, თუ ცხადს კავშირს. იგი გვიხსნის ქვეყნიერობისა და კაცობრიობის ცხოვრებას; ნათელს გვიყოფს „სამყაროს“, რომელიც „გვაქვს უთვალავი ფერითა“,—ხოლო კრიტიკოსი გვითარგმნის იმ საუცხოვო შემოქმედობის ნაყოფს, რომელსაც ჰქვიან ხელოვნების ნაწარმოები, გვიახლოვებს იმ წარმტაც ქმნილებას, რომელიც ხელოვანს დაუწერია, გინდ დაუხატავს, გინდ გამოუქანდაკებია. სწორედ იმიტომ, რომ ყოველ კრიტიკოსს თავისებურად შემუშავებული და თან შეზრდილი შეხედულება აქვს ცხოვრებასა და ხელოვნებაზე, მას მოსწონს ერთი მწერალი და იწუნებს მეორეს, რასაკვირველია, ყოველი კრიტიკოსი იმდენად დაფასდება, რამდენადაც მისი განსჯა არა ღალატობს ესთეტიკის (ამ სიტყვას ვრცელ მნიშვნელობას ვაძლევთ) მშვენიერების მოთხოვნილებას და კანონებს. მთელი მისი სჯა ამ მხრით უნდა იქმნეს აწონილ-დაწონილი და არა იმის მიხედვით, მის მძახალს რა დამოკიდებულება აქვს განხილულის ნაწარმოების ავტორის მძახალთან. ჩვენ კარგად გვესმის, რომ აქ ჩვენ პირადობის შესახებ ლაპარაკი მეტია, მაგრამ არ შემეძლო არ აღმენიშნა ს უცნაური მოვლენა—შანშიაშვილის შესახებ ჩემის ნაწერების გამო, ზოგიერთის უმართებულო ქცევა, ჩვენის ლიტერატურის ზნე-ჩვეულებების დასახასიათებლად.

ეს არ იკმარეს და ეხლა ერთი ალიაქოთი ასტეხეს—შანშიაშვილმა პლაგიატი ჩაიდინა, ფრანგ მწერალის როსტანის თხზულებიდან მოიპარა თავისი პოემა „ოცნების მხარესო“. ცილისწამება ჩვენში თითქმის ჩვეულებად არის გადაქცეული, ამიტომაც არავის ეს არ უნდა აკვირვებდეს, პასუხის ღირსადაც არავის უნდა მიაჩნდეს; მაგრამ ჩვენ გვინდა ეს მოვლენა განვასაზოგადოთ, მოვილაპარაკოთ საზოგადოდ მიმბაძველობის შესახებ ლიტერატურაში და შემდეგ დავანახვოთ მკითხველ საზოგადოებას, რა ფასისა და ღირსებისაა შანშიაშვილის „პლაგიატობის“ შესახებ შეთხზული უმეცრების წყაროებიდან წარმოდენილი ჭორები.

თითქმის კანონად არის ლიტერატურაში მიღებული ის მოვლენა, რომ ლიტერატურას ერთის ერისას ამა თუ იმ საზოგადოებრივ განწყობილების გამომსახველის გავლენა აქვს დანარჩენ ერთა ლიტერატურაზე. ეს კანონი უეჭველია და თვალსაჩინო ევროპის ლიტერატურის შესახებ მაინც. უცხო ლიტერატურის უეჭველსა და ცხადს გავლენის ქვეშ აღიზარდა საფრანგეთის მე-18 საუკუნის ლიტერატურა და მე-19 საუკუნის ლიტერატურაც—რომანტიზმი, რეალიზმი, ნატურალიზმი და თვით სიმბოლიზმიც კი. ამგვარსავე გავლენის ქვეშ აღიზარდა გერმანული, რუსული და თვით ქართული ლიტერატურა [1]). ერთიც კი უნდა ვთქვათ: რაიცა შეეხება ერთის ერის ლიტერატურის გავლენას მეორე ერის ლიტერატურაზე, მეტად ცვალებადია იგი გავლენა, მეტად ელასტიური და საზოგადოდ მეტად ძნელია მისი გარკვევით აღნიშვნა. საქმე იმაშია, რომ აზრი, იდეა არ არის შექმნილი რომელიმე ერთის ერისაგან, იგი ნაყოფია მთელის კაცობრიობის შრომისა და მოღვაწეობისა და ერთი მეორის დახმარებითაა შექმნილი. აზრთა ზრდისა და განვითარების ისტორია გვაჩვენებს, რომ ძნელია ამა თუ იმ აზრის—იდეის პირველ შემქმნელის მიგნება, და სანამდისაც კი სწვდება ჩვენი გონება, ვხედავთ, რომ აზრი გავრცელებულია აქა თუ იქ, ამა თუ იმ ერში და ეს გავრცელება მეორე ერის ზედ-მოქმედებითა, სხვა ერის ლიტერატურისა და გონების ნაწარმოების შესწავლის შედეგი ყოფილა. ხოლო აქედან ის დასკვნა კი არ უნდა გამოვიყვანოთ, ვითომ იმ ერს, რომლის კულტურაც ყოფილა წყარო მეორე ერის ამა თუ იმ აზრის წარმოშობისა, რომლის შემწეობითაც მეორეს შეუსწავლია ესა თუ ის აზრი, თვით შეექმნას იგი, ამ აზრის თავდაპირველი ავტორი ყოფილიყოს. არა, იმასაც სხვისაგან მიუღია ეს სამკვიდრო, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ არც ერთი ერი არა სესხულობს მეორესაგან აზრს ბრმად, თუთიყუშივით არ იმეორებს მას, არამედ თავისებურობის ბეჭედს ასვამს და იმდენად განასხვავებს, რომ თუ ღრმად არ ჩაუკვირდით, თუ თანდათანობით არა სდიეთ ამ აზრის განსახვას, წვრთნასა და აღზრდას, ვერც კი გაიგებთ, საიდან წარმოსდგა იგი. აზრთა გავრცელებაში „მიმბაძლობის“ დიადი მნიშვნელო-

1) ლიტერატურის ეს მოვლენა აღნიშნული აქვს ფრანგ კრიტიკოსს ფერდინანდ ბრიუნეტიერს, რომლის მეთოდით ვსარგებლობთ ჩვენს ლიტერატურულ წერილებში.

ამ პროვინციის პოლიტიკურ დამოუკიდებლობის განსახორციელებლად იმპერია გარანტიებს თხოულობს და ეს გარანტიები ელზას-ლოტარინგიამ უნდა მოგვცეს. მოქალაქის მოვალეობის უბრალო ასრულება ვერავის დააკმაყოფილებს. აგიტაცია, რომელსაც მიზნად აქვს ელზას-ლოტარინგიაში გერმანული ელემენტები მოსპოს, არა მართლდება არც ისტორიულის, არც გეოგრაფიულის თვალსაზრისით და ამასთან ხელს გვიშლის განვახორციელოთ ელზას-ლოტარინგიის სურვილები კონსტიტუციის შესახებ.

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატა. იხილავენ საკითხს კომპანიის კონცესიის შესახებ. დიდმა ვეზირმა მიიღო ხალილ-ბეის ფორმულა. ფორმულაში ნათქვამია: სანამ კონცესიების შესახებ განსაკუთრებული კანონი გამოიცემოდეს, მთავრობას უფლება აქვს ამა თუ იმ პირს, თუ საზოგადოებას კონცესია მისცეს, იმ პირობით კი, რომ კონცესიის მიცემა ხაზინისგან ხარჯს არ უნდა თხოულობდეს. დეპუტატთა პალატა უცხადებს რა სამინისტროს ნდობას, მორიგ საქმეებზედ გადადის. ფორმულა დეპუტატთა პალატამ ხმის უმრავლესობით მიიღო.

### რ უ ს ე თ ი

**ცარიცინი.** ოლქის სასამართლომ განიხილა მღვდელ-მონოზან ილიოდორეს საქმე. ბრალდებოდა პოლიციის შეურაცყოფა. სასამართლომ ილიოდორეს ერთი თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

**პერმი.** სამართალში მისცეს ეკატერინებურგის ქალაქის თვითმართველობის ყველა ხმოსნებად ნამყოფები და ქალაქის თავი. ბრალდებათ ღარიბ მცხოვრებთათვის შეშის დარიგების დროს უკანონოდ მოქცევა.

**ასტრახანი.** ექიმების შემოწმებით ბეისკულაკში და მის მიდამოებში ფილტვების შავი ჭირი ყოფილა. ავადმყოფები ერთი დღის განმავლობაში იხოცებიან. 29 ნოემბრამდის ბეისკულაკსა და მის მიდამოებში შავი ჭირისგან გარდაიცვალა 15, ავად არის 2 კაცი.

**პეტერბურგი.** სამოსამართლო პალატამ გაარჩია გერციგის საქმე. ბრალდებოდა ლ. ტოლსტოის წიგნის „ღვთის სამართლე ჩვენში“ გამოცემა. გერციგს ერთი წლით ციხე გადაუწყვიტეს.

სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი პროფესორების კოვალევსკის, ივანიუკოვის და გუსაკოვის შესახებ. ბრალდებოდათ ჯავშნიან გემის „როსტისლავის“ მატროსებსა და აფიცრებზე ცილისწამება. ოლქის სასამართლომ პროფესორები გაამართლა.

**ეკატერინოსლავი.** ამადლების მაღაროებში მოჰკლეს საერობო დარაჯი. მკვლელი დააპატიმრეს.

**პეტერბურგი.** ადმინისტრაციის განკარგულებით 500 მანეთით დააჯარიმეს გაზეთ „რეჩის“ რედაქტორი ელკინი. გაზეთში დაბეჭდილი იყო წერილი: „ეპისკოპოსი და დუელი“.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1 კაცი.

**მოსკოვი.** ორი დღის განმავლობაში ავად გახდა 19, გარდაიცვალა 10, ავად არის 50 კაცი.

**ვასილკოვი.** სოფელ ბაროხტაში ავად გახდა 16, გარდაიცვალა 8 კაცი.

**ხერსონი.** 24—29 ნოემბრამდის გრიგორიევკაში ავად გახდა 19, გარდაიცვალა 9 კაცი.

**ასტრახანი.** ბეისკულაკში შავი ჭირისაგან გარდაიცვალა 1 კაცი.

## მოწერილი ამბები

**პეტერბურგი.** ფსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში ამას წინად ჩეზარე ლომბროზოს საპატივსაცემოდ გაიმართა სხდომა. სადამოს, რომელსაც უფრო მეცნიერული ხასიათი ჰქონდა, დაესწრნენ, როგორც ინსტიტუტის მოსწავლენი, ისე სხვა უმაღლეს სასწავლებლის ახალ-გაზდობა. პირველად სიტყვა წარმოსთქვა ინსტიტუტის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ბეხტერევმა, რომლის მეთაურობით გაიმართა ეს სადამო. ლექტორმა მოკლედ დაგვიხასიათა ლომბროზოს მოღვაწეობა. აგვიხსნა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ლომბროზოს მეცნიერებაში და რა გზით შეიქმნა გამოსაჩენელი მისი თეორია დამნაშავის შესახებ. ლექტორის ეს მოკლე სიტყვა, როგორც თვითონ სთქვა, წარმოადგენდა შესავალს იმ დიდ ლექციისას, რომელიც წაგვიკითხა იმის შემდეგ პროფესორმა ბრილმა. ეს უკანასკნელი, როგორც თვითონ სთქვა, პირადი მეგობარი ყოფილა ლომბროზოსი და ბევრი რამ ისეთი სცოდნია იმის ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან, რაიც ჩვენთვის ახალს რასმე წარმოადგენდა. ბრილმა თავის ლექციის წაკითხვას საათზე მეტი დრო მოანდომა და საგნებით დაახასიათა ლომბროზოს ღვაწლი და მნიშვნელობა მეცნიერებაში.

მოკლე ანტრაქტის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა პროფესორმა არშანსკიმ. მან აიღო გასარჩევად სულ სხვა მხარე ლომბროზოს მოძღვრებისა. თუ ბრილი ეხებოდა ლომბროზოს მოძღვრებას ფსიხოლოგიის მხრით და გაარჩია ლომბროზო, როგორც გამომკვლევი დამნაშავის სულიერ ვითარებისა, არშანსკი შეეხო ლომბროზოს ანატომიის მხრით, როგორც მცოდნეს და გამომკვლევს დამნაშავის აგებულებისა. მანაც დიდხანს ილაპარაკა.

ურიგო არ იქნება ორიოდე სიტყვით გავაცნო ქართველ მკითხველებს, თუ რას წარმოადგენს ფსიხო-ნევროლოგიური ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტში, როგორც სახელწოდებაც გვიჩვენებს, უმთავრესი ყურადღება მიქცეულია ფსიხოლოგიასა და ნევროლოგიისადმი. ეს ინსტიტუტი დაარსდა 1908 წლის თებერვალში აკადემიკოს ბეხტერევის, რომელიც პრეზიდენტია ამ ინსტიტუტისა, და პროფესორ გერვერის მეთაურობით. ინსტიტუტში ხუთი წლის კურსია. არის ფაკულტეტი პედაგოგიური, რომელიც განიყოფება სიტყვიერ-საისტორიო (словесно-исторический) და საბუნებისმეტყველო-საისტორიო (естественно-исторический) ფაკულტეტებად და ფაკულტეტი იურიდიულ-კრიმინალისტური. პირველი ორი კურსი ითვლება საერთო-განსავითარებელ კურსებად და დანარჩენი სამი კურსი-კი სპეციალურად. პროფესორები საუკეთესონი არიან, აქ კითხულობენ, სხვათა შორის, შემდეგი პროფესორები: პროფ. ტარლე, პროფ. სპერანსკი, პროფ. დე-რობერტი და სხვანი. სწავლის ფული წელიწადში ასი მანეთია. ჯერ-ჯერობით უფლება არ მოუპოვებია ინსტიტუტს, მაგრამ ეს საშიშს რასმე არ წარმოადგენს, რადგან ჯერ მარტო ორი კურსია და ამასთანავე იღებენ მხოლოდ ისეთ პირებს, რომელთა უნივერსიტეტში მიღება არ წარმოადგენს იმავე ატესტატით რამ დაბრკოლებებს. ასეთ პირობებში და ისეთ ხელმძღვანელის ხელში, როგორიც წარმოადგენს პრეზიდენტი ინსტიტუტისა ბეხტერევი, ინსტიტუტი ადვილად მოიპოვებს უფლებას. აქ სულ რვაასზე მეტი სტუდენტი ვაჟი და ქალი სწავლობს. არიან ქართველებიც: ათი კაცი და რვა ქალი. ამ ინსტიტუტშია მსახიობი ქალი ანნა ჩირკაძე. ინსტიტუტში ორივე სქესის ადამიანებს იღებენ და ამიტომ არის გავრცელებული აქაურ საზოგადოებაში ხმა ჩვენი ინსტიტუტის შესახებ, რომ იგი ჩრდილო-ამერიკის სისტემის სასწავლებელია.

ლ. გეგეჭკორი.

---

**კახეთი.** ჯერ იყო შარშანდელმა ადრე დაწყებულმა ზამთარმა მხვნელ-მთესველს მეტად შეუშალა ხელი. იმის ნახევარიც ვერ დაითესა, რაც ჩვეულებრივ ითესებოდა. მეტად ბევრი მოსახვნელი დარჩა გაზაფხულისთვის, მაგრამ აბა სად მოასწრებდნენ, ან ხვნას, ან თესვას და სხვა მრავალ საქმეს. ამის გამო შარშან ნაკლებად დაითესა საერთოთ ყველა მარცვლეულობა, ახლა ტაროსმა მეტად შეუშალა ხელი ჭირნახულს, ვის უნახავს ისეთი მშრალი გაზაფხული, ან ისეთი გოლვიანი ზაფხული, როგორც მიმდინარე წელს.

ამისთანა შეუწყობელ ამინდში, რასაკვირველია მოსავალი ვერ მოვიდოდა კარგი. სიმინდი ამოსვლის უმალვე გაუვითლდა, ნამი აღარ მოხვდრია და ვერც დაითოხნა. მოსავალიც სრულებით არა ყოფილა. თუ მოვიდა, ისიც ნაკლებად, გაღმა მხარეს, სადაც სარწყავი ადგილებია. პურის მოსავალი ნაკლებად დაითესა, ახლა გვალვამაც შეაწუხა, ზოგ ადგილებში სეტყვა მოჰხვდა და ამისათვის, შეიძლება ითქვას, საერთოთ საშუალოზე ნაკლები მოვიდა.

რასაკვირველია, თუ წლის სარჩო საკმაო არ მოუვიდა გლეხს, საქმე გაუჭირდება და ასეც არის, უმრავლესობას უხდება პურის ყიდვა. ეს არის სასიამოვნო, რომ პური ძვირი არ არის. თუ ქიზიყის უხვი მოსავალი არა, პური ძალიან დაძვირდებოდა. საბედნიეროდ ქვემო მხარეს (ქიზიყში) პური იმდენი მოსულა, რომ თავიანთ ურმებით ეზიდებიან ზემო სოფლებში და კარზე მიტანილს კოდს სამ მანეთად ჰყიდიან.

გლეხი კაცის ოჯახისთვის მნიშვნელობა აქვს ხილს თუ ბოსტანს, წელს კი არც ერთი მოვიდა, არც მეორე.

მიმდინარე წელი ვერც პირუტყვისთვის იყო საქებური. გოლვისა გამო ბალახი არ მოსულა, საქონლის პატრონმა ვერც სიმინდის ფუჩეჩი აიღო, რის გამოც თივას ფასი დაედო. კიდევ კარგი, კარგი შემოდგომაა, მზიანი დღეებია, საქონელი ნახევარჯელ ისევ ბალახზეა და თუ ისეთ დარით გაგრძელდა, ზამთარი დიდი შეღავათი იქნება ყველასათვის.

წელს ვერც ტყე არის კარგი დროის საშოვლად. ბევრი ფარა დაბრუნდა უკან ზემო კახეთის მთებიდან. რადგან ტყის ნაყოფიერი ჭიანი გამომდგარა.

შარშანდელ შემოდგომის დაშინებული, წელს მეტად ადრე გაიტანეს გუთანი. არც ავდარმა შეუშალა ხელი. ყველგან მოასწრეს დათესვა-დაფარცხვა. ისეთი ჯეჯილებია ამოსული, რომ ხარი გაძღება, რაც კარგ მოსავლის იმედს იძლევა. ნამიც დრო გამოშვებით არ აკლია, და ძლიერაცა რგებს ყანეულებს.

ეული.

---

**სოფ. ბრეთი** (ქართლი). როგორც მოეხსენება მკითხველს, თავადმა შერვაშიძემ ტფილისის გუბერნატორობის დროს ყოველ სოფელში დაარსებინა გლეხობას პურის მაღაზიები, რომ შემდეგ იგი ფულად ქცეულიყო და ამრიგად ყოველ საზოგადოებას დაეარსებინა სამეურნეო თანხა. ასეც სრულდებოდა კარგა ხანს: ყოველ სოფელში კალობას იკრიბებოდა პური; პური თავის დროზე იყიდებოდა [illegible] ბით სდგებოდა თანხა.

შერვაშიძის წასვლის შემდეგ შეიცვალა ხსენებულ პურის მაღაზიების ვითარებაც. თანხის შესადგენად პურის ნაცვლად ფული იკრიბებოდა და იკრიბება დღესაც, რაც გლეხ-კაცისათვის მეტის-მეტად სამძიმოა. სულ მამაკაცზე, 12 წლიდან 60 წლის მოხუცამდე, ღარიბ გლეხისათვის დიდი გადასახადია სამი აბაზი. და ეს ფული სასტიკად იკრიბება და შედის ხაზინაში.

ახლა საქმე და კითხვა იმაშია, თუ კი ამ ფულს დამშეულ ხალხს გაჭირვებაში არ მიახმარებენ, მაშინ რაღა აზრი აქვს იმის მოგროვებას? გაჭირვებაც დღეს არის, ხალხს შიმშილით კუჭი ეწვის. საქონელი, შიმშილით არ დაგვეხოცოსო, ადრე ვინც მოასწრო, ნახევარ ფასად გაჰყიდა, ვინც არა და გაძვალ-ტყავებული პირუტყვი შიმშილით ძლივს დაასლასებს, და ამ ზამთარს კარგი უნდა, თუ გაახწიოს.

ზოგიერთებმა მაინც მოიხმარეს ეს თანხა. მოიხმარეს, მაგრამ ისე თქვენს მტერს, რაც ამათ დაემართათ! ავიღოთ ბრეთი. ამ სოფელს ჰქონდა შეგროვილი 2400 მანეთი და ამითი აიყიდვინეს ბრეთშივე მამული. ძალიან კარგი მამულია. იაფადაც იყიდეს. გამოუცხადეს, ეს თანხა ორ წელიწადს უნდა შეავსოთო და ნახევარს უკვე ჰკრეფენ, ამ გაჭირვებასა და შიმშილობის დროს. ჰკრეფენ ბრეთში ას თუმანს იმ დროს, როდესაც ხალხს დახმარება უნდა აღმოუჩინონ, რომ ცოლ-შვილი სიცივით არ დაეხოცოთ და საქონელი შიმშილით არ დაეხოცოს.

მეტი არ იქნება მოვახსენოთ, რომ ბოქაული გომისა, რომელსაც ბრეთის საზოგადოება ეკუთვნის, შეუბრალებელი და გულ-ქვა აღმოჩნდა. ბრეთში და არადეთში გლეხები ყირამალა დაჰკიდა და ფეხის გულებზე აცემინა. მაგრამ ეს ბოქაული გამოგვივიდეს, მგონია, სისასტიკისათვის.

ქაიხოსრო ავალიშვილი.

---

**ცხინვალი.** ჩვენს დაბა ცხინვალში შემაძრწუნებელი ამბები ხდება. ისედაც დაბეჩავებულს ხალხს, მოუსავლობით

---

ბა ღრმა საბუთებით დააკანონა საფრანგეთის გამოჩენილმა ფილოსოფოსმა და სოციოლოგმა ტარდმა (les lois de e'imitation). იმის აზრით კაცობრიობის ისტორია ექვემდებარებოდა ინიციატივისა და მიმბაძველობის კანონს ამ სახით: ჯერ ერთი ვინმე აღმოაჩენდა რაიმე აზრს; ეს აზრი ფეხს იდგამდა ჯერ თვით იმ ერში, სადაც იგი აზრი იბადებოდა, იქ იმაგრებდა ფესვებსა და მერმე მიმბაძველობის შემწეობით მთელს კაცობრიობაში ვრცელდებოდა. ამგვარად, როდესაც ქვას ისვრით მდინარეში, პატარა წრე გაჩნდება იმ ქვის გარეშემო და მერე ამ წრეს სხვა წრე ემატება ირგვლივ, მდინარის მთელს ნაპირზე. ასე რომ, თუ კაცობრიობის ისტორიას წარმოვიდგენთ, გეომეტრიულ წრეს უნდა შევადაროთ, რომლის წერტილები ერთი ინიციატივა არის და მეორე მიმბაძველობა. მაგრამ, როგორც წრის დასაწყისისა და დასასრულის გამორკვევა გვიძნელდება; რადგან ყოველივე წერტილი წრისა დასაწყისადაც შეიძლება მიიღოს კაცმა და დასასრულადაც, ისევე ძნელია კაცობრიობის მსვლელობის ისტორიაში აღმოაჩინოთ პირველი ინიციატივა და გაიგოთ, როგორი იყო იგი, ან რა აზრისა და მომქმედების დამწყები და შემქმნელი. თუმცა, ეჭვი არ არის, პირველი დასაწყისი ცხოვრებისა და აზრთა მიმდინარეობისა ინიციატივა იყო, ვინაიდან, თუ არა იქნებოდა რა, არა გაჩნდებოდა რა, მიმბაძველობა რისი მიმბაძველობა უნდა ყოფილიყო.

ამიტომაც დიდი სიფრთხილით უნდა ვილაპარაკოთ ლიტერატურის მიმბაძველობის შესახებაც და ის ხომ არასოდეს არ უნდა ვიფიქროთ, ვითომ მიბაძვა იყოს მაჩვენებელი ნაწარმოების უვარგისობისა, ანა და მისი ნაკლულევანებისა. თუ მიმბაძველობა პრინციპია მთელის ცხოვრებისა, როგორც გინდათ, მარტო ლიტერატურა, ეს უძლიერესი წარმომადგენელი ცხოვრებისა და მისი უმშვენიერესი სამკაული, ამ კანონს გარეშე მოქმედებდეს. ყოველს ნაწარმოებში, რომელ დიდ გენიოსსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, უსათუოდ იქმნება კვალი მიმბაძველობისა, მაგრამ ამ მიმბაძველობას თავისებური ელფერი ექმნება და იმდენად ძლიერი, რომ თითქმის შეუძლებლად ჰხდის იქ მიმბაძველობის ნასახის აღმოჩენას. და აი ამ თავისებურს გადასხვაფერებაში სწორედ ინიციატივას უჭირავს დიდი ადგილი და სწორედ ამ ინიციატივის ძალით უნდა გავზომოთ და ავწონოთ მეცნიერისა და ფილოსოფოსის, პოეტისა და საზოგადოდ ხელოვანის ნიჭის სიძლიერე და სიდიადე. რამდენადაც ძლიერი იქნება მას ნაწარმოებში ინიციატივა და რამდენადაც გადასხვაფერებული იქნება ის აზრი და ფორმა, რომელიც მიმბაძველობით მოიპოვა მწერალმა, იმდენად მაღლად დაფასდება მისი ნიჭი და ხელოვნება. კიდევ მათემატიკურ შედარებას რომ მივმართოთ, ასში რამდენი ნაწილი იქნება ეს „თავისებურობა“, იმდენად მაღალ საფეხურზე დავაყენებთ რომელიმე ხელოვნურ ნაწარმოების შემოქმედს. ჯერ ისეთი გენიოსი არ შეუქმნია ცხოვრებას, რომლის ნაწარმოებშიაც ასში ერთი ნაწილი მაინც მიმბაძველობის შემქმნელი არ იყოს, და ისეთი მწერალი არ არის, თუ მცირედი ნიჭი მაინცა აქვს და ღირსია მწერლის სახელისა, რომ ასში ერთი ნაწილი მის ინიციატივას, მის თავისებურობას არ ეკუთვნოდეს.

ამ მიმბაძველობის შესახებ დიდი ბაასი ასტყდა რამდენიმე წლის წინად საფრანგეთის ლიტერატურაში. ეს ბაასი გამოიწვია იმ შემცდარმა აზრმა, რომელიც ამ ჟამად გავრცელებულია საფრანგეთისა და უფრო კი თვით რუსეთის საზოგადოებაში, ვითომ ეხლანდელ საფრანგეთის ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებნი ჩრდილო-ლიტერატურის (ინგლისის, ნორვეგიისა და რუსეთის) ძლიერის გავლენის ქვეშ იმყოფებოდეს. ამ აზრის წინააღმდეგ გაილაშქრა ცნობილმა ფრანგმა კრიტიკოსმა ლემეტრმა, რომლის წერილის შინაარსი ამ რამდენიმე წლის წინად გავაცანით ჩვენ ჩვენს საზოგადოებას. [2]) ლემეტრი იმას ამტკიცებდა, რომ თვით „ჩრდილოეთის“ ლიტერატურა აღიზარდა საფრანგეთის მწერლობის ზედ-გავლენის ქვეშ. ძველი პლეიადა რომანტიკოსებისა, თვით რეალისტებიც კი— ბალზაკი, ზოლა და ალ. დიუმა შვილი—არიან იმ მიმართულების მამამთავარნი, რომელიც ჩვენ ჩრდილოეთის ერთა გენიოსობის შექმნილი გვგონია და რომელსაც ღოტაცებაში მოვყავვართ. მართალია, ჩრდილოეთის მწერლებმა ჩვენი აზრები სხვა სამოსლით მოგვაწოდეს, მაგრამ ფორმის შესახებ არც არავინ არას ლაპარაკობს და ბრმათათვისაც კი თვალსაჩინოა, რომ ეხლანდელ საფრანგეთის ლიტერატურის ფორმა თავისებურია, რამდენადაც ეს შესაძლოა, და არავისაგან არ არის ნასესხები. ლიტერატურული ფორმა ფრანგერისა შექმნილია ლათინთა გენიოსობისაგან და იმდენად დაკავშირებულია მთელ მის კულტურასა და ფსიხოლოგიასთან, რომ მისაბაძავადაც კი შეუძლებელი ხდება ჩრდილოეთის ერთათვისაო. მოწინააღმდეგეებმა ლემეტრს ის განუცხადეს, რომ არც ფრანგ-მწერალთა მიერ არის შექმნილი ეგ აზრები, მათაც სხვა ერთაგან აქვთ შეთვისებულიო და სრული ჭეშმარიტებაა და დამასაბუთებელია ზემო-მოყვანილის იმ აზრისა, რომ ეხლანდელ ერთა გენების ნაწარმოებთა შინაარსი, დედა-ძარღვი, მიმართულება საუკუნეთა ცივილიზაციის შექმნილია და მეტად ძნელია მკვლევარისათვის ამ აზრთა შემქმნელის გამოძებნა და ან თვით შთანასახის პირველ სახის სავსებით გამორკვევა. აზრი ვითარდებოდა და ვრცელდებოდა მიმბაძველობით. ყოველივე გენიოსი მიმბაძველობით სარგებლობდა და თანაც ინიციატივას იჩენდა და ამ გვარად წინ მიდიოდა კაცობრიობის აზრი.

აქ ერთი შენიშვნაა კიდევ საჭირო. კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ მიმბაძველობას საფუძვლად უდევს სიმპატიური გრძნობა. ჩვენ მივბაძავთ ხოლმე იმ კაცს, რომელიც გვიყვარს. ვცდილობთ მაგალითი ავიღოთ იმ ერისაგან, რომლის მაღალი გონებრივი და ზნეობრივი თვისებანი ჩვენს სულსა და გულს იზიდავენ. სიმპატია, რომლის უმაღლესი ფორმა სიყვარულია, ფიზიკურისა და სულიერის ცხოვრების დედა-ბოძია და სწორედ ამ სიმპატიურს განწყობილებაზეა აგებული მიმბაძველობა. შესაძლებელია თავდაპირველად მიმბაძველობით შეძენილი აზრი გინდ მოქმედება და ბოლოს ინსტიქტად გარდაიქცეს, მემკვიდრეობით მისწრაფებად შეიქმნეს, მაგრამ ყოველივე მიმბაძველობის წყარო სიმპატიიდან წარმოდინარეობს.

თუ კი სიმპატია ძირითადი და არსებითი მხარეა ცხოვრებისა, თუ იგი ცხოვრების მთავარი მექანიზმია, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს მთელი რთული მანქანა ადამიანის ცხოვრებისა, თუ იგი სულია და გული ცხოვრების მოძრაობისა, არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ცხოვრებაში არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს სრულიად წინააღმდეგ გრძნობასაც—ანტიპატიას, ამ ანტიპოდს სიყვარულისა და სიმპატიისას. თუ კარგად შეგნებულია იგი გრძნობა და რიგიანად მოხმარებული, იგი ისეთივე კანონიერია და აუცილებელი ცხოვრებისათვის, ვითა ცხოვრების მანათობელი და განმაცისკროვნებელი მზე სიმპატიისა და თანაგრძნობისა. სიძულვილი და ზიზღი ყოველივე იმის მიმართ, რაიცა კი სწამლავს ადამიანის ცხოვრებას, რაიცა კი აფერხებს მის წინმსვლელობას, სიცოცხლის მომშხამველისა და დამღუპველ ძალთა წინააღდგომა აუცილებელი იარაღია ცხოვრების ბრძოლისათვის.

ყოველ ცხოველის არსების ცხოვრების განვითარება ამ ძალთა ზედმოქმედებას ექვემდებარებოდა. ყოველი ორგანიზმი მიისწრაფოდა ცხოვრებისათვის საჭირო ცხოვრების გამაუმჯობესებელი ძალებისაკენ და უკუიქცეოდა ცხოვრების ხელის შემშლელ პირობათაგან, სძაგდა და ებრძოდა გამწარებით. რა არის მთელი ცხოვრება მსოფლიოსი თუ არ დაუსაბამ და დაუსრულებელი ბრძოლა ბოროტის, ცხოვრების მომსპობელის ძალების წინააღმდეგ, რომელთა მეომარნი აღტყინდებიან ამ ძალთა სიძულვილთა, ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით კი ენტუზიაზმსა და ძალას მოიპოვებენ ცხოვრების წამახალისებელ მიზეზთა სიყვარულში და საუკუნოების განმავლობაში იმისათვის იღწვიან, რომ დაამყარონ საუკუნო სამეუფო კეთილისა— ცხოვრების დამხატველ და დამამშვენებელ ძალთა სამეუფო. მაშასადამე, თუ კი სიმპატია იწვევს მიმბაძველობას, ანტიპატია იწვევს წინააღმდეგობას, „ოპოზიციას“, ჩვენ არა თუ არ წავბაძავთ არა საყვარელ ადამიანის აზრს, მანერას, არამედ იმასა ვსცდილობთ, რომ ყოველივე მისი წინააღმდეგი მოვიქმედოთ, რათა განვისხვავოთ თავი იმისაგან. ამგვარი ქცევი მძულს იმიტომ, რომ ამასა და ამას ჰხურავს, ამნაირი კილო ლაპარაკისა მძ[illegible] იმიტომ, რომ ამანა და ამან იცის ამგვარი ლაპარაკი. ამ ფერის თმა მეზიზღება, რადგან ჩემთვის საზიზღარ ადამიანსა აქვს ხოლმე ამ ფერი თმა და სხვა და სხვ. მწერლებიც ასე იტყვიან. რომანტიკოსები, მაგალითად, სცდილობდნენ კლასიკების ყოველივე წინააღმდეგი აესრულებინათ; რეალისტები სცდილობენ რომანტიკოსების ნაწერების დაგვარი არა შეჰქმნან რა [3])

მოკლედ თუ განვიმეორებთ ზემოდ თქმულს, აი რა გამოვა: იდეათა, აზრთა განვითარება მიდიოდა მიმბაძველობისა და წინააღმდეგობის გზით. აზრი დაიბადა. მიმბაძველნი აღმოუჩნდნენ, რომელნიც უბრალო ფონოგრაფის როლს კი არ ასრულებდნენ, არც ფოტოგრაფისას, არამედ თავისებურს ნიშნს ასვამდნენ ამ ნასესხებ აზრს, თავისებურობის სამოსელით შემოსვიდნენ ხოლმე. ხანდისხან კიდევ აზრისა და ფორმის მიმართულება წინააღმდეგობით იყო გამოწვეული და ერთის ეპოქის მწერლები იმ იდეისა და ფორმას არჩევდნენ და ითვისებდნენ, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგებოდა იმ ეპოქის მწერალთა ნაწარმოებთ, რომელთა მემკვიდრენი თვით იყვნენ.

მართალია, ძალიან გავაგრძელეთ ბაასი „მიმბაძველობისა“ და „წინააღმდეგობის“ პრინციპების შესახებ, მაგრამ ეს აუცილებელი იყო, რათა გამოგვერკვია, რა კანონებს ექვემდებარება მსვლელობა ლიტერატურისა, რომ ნათელი იყოს მრავალი მხარე ლიტერატურულ მოძრაობისა.

თუ ამ გვარად არ შევუდექი საქმეს, შესაძლოა ისეთი სასაცილო და სამწუხარო რამ ჩაიდინო, რაც შანშიაშვილის ცილის მწამებელთა ჩაიდინეს, და რომელთაც ესთეტიკას და ლიტერატურის არა გაეგებათ რა.

კოტე აბაშიძე.

(შემდეგი იქნება)

2) «ივერია» 1895 წ.

3) ეს კანონი „წინააღმდეგობისა“ ლიტერატურაში აღნიშნული აქვს ფრანგ კრიტიკოსს ბრიუნეტიერს თავის „ევოლიუციონ დე ჟანრ“-ის I ტ., ვრცლად კი კანონი „ოპოზიციისა, წინააღმდეგობისა“ ცხოვრებაში გამორკვეული აქვს ცნობილ ფრანგ ფილოსოფოსს და სოციოლოგს ტარდს თავის „ოპოზისიონ უნივერსელ“-ში.

გულგატეხილს და სხვა და სხვა გადასახადით გაჭირვებულს, საქმეს უჭირებენ ქურდ-ბაცაცები, თავდამსხმელნი. დღე არ გავა, რომ ამ მხარეს ქურდბაცაცთა ბრბომ რამე არ ჩაიდინოს. ხან ოჯახებს ეცემიან, ხან ფულებისთვის გზაში ჰხვდებიან ხალხს და ხან დუქნებს სძარცვენ. ამ რამდენიმე დღის წინად გაძარცვეს მაისურაძის დუქანი, ი. კასრაძეს მისწერეს, ოც-და-ათი თუმანი ეკლესიასთან დასდეთ, და რამდენ სხვა ამისთანას სჩადიან. ხალხი აღელვებულია, ჩივის, სწუხს, შაგრამ როგორ უშველოს ამ ჭირს, არ იცის. ერთის სიტყვით, ნაძირალნი გათამამებულნი დათარეშობენ.

აქამდის აქ კარგი დარი იდგა. სამი დღის წინად წამოთოვლა და ატალახდა.

**დგვრისელი.**

## სანთლის ქარხნები და სამღვდელოება

(ქართლ-კახეთის მღვდელ საეპარქიო კრებისათვის).

რა ზომით შეიძლება მოისპოს ქურდობა საქართველოს საეკლესიო სანთლის ქარხნებში? მე პირდაპირ ვაყენებ ამ საკითხს, რადგან ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ადვილად შეიძლება მოეღოს ბოლო იმ ბოროტმოქმედებას, რომელიც უკანასკნელ წლების განმავლობაში გაღამდებ სენივით მოედო ჩვენში სანთლის საეპარქიო ქარხნებს და მათ სამაზრო თუ სარაიონო საწყობებს. იკარგება ფული, ცვილი და დამზადებული სანთელი საწყობებში; იკარგება ფული თვით ქარხნებში. საკმარისია მოვიგონოთ ქალაქები ფოთი და ტფილისი, რომელთაც ამ მხრივ განსაკუთრებით ისახელეს თავი.

ყველაფერზე უფრო საკვირველი და გაუგებარია თვით დასასრული ამ გვარ ბოროტმოქმედებათა. იკრიბება სამღვდელოება მორიგ საეპარქიო კრებაზე. ორ-სამ დღესა ჰკარგავს ბოროტმოქმედებისაგამო სჯა-ბაასში და, დასასრულ, მუდამ და უსათუოდ იმით ათავებს, რომ დამნაშავეებს ბრძნულად აპატიებს ფულის გაფლანგვას და საქმეში ახალ პირებს აყენებს. ახალი პირებიც ხშირად ბეჯითად ბაძავენ თავიანთ წინამოადგილეებს და დაიმედებულნი არიან, რომ სამღვდელოება იმავე ჩვეულებრივ პატივებით დაჰფარავს მათ დანაშაულს. ასე და ამრიგად ჩვეულება სჯულზე უმტკიცესად გადაიქცა და წმინდა სანთლის ქარხნების ქონება, რომლის მეოხებითაც ბევრ კეთილ საქმის გაკეთება შეიძლება, სრულებით არაფრით არ არის უზრუნველყოფილი. თითო კრებულზე სულ რაღაცა სამი-ხუთი მანეთი მოდის და აბა ამისთვის როგორ უნდა ღავღუპოთ ადამიანიო,—ფიქრობენ მამა დეპუტატები ყოველ ახალ ბოროტმოქმედების გასამართლების დროს და განაგრძობენ ტრადიციულ პატივებას.

და სწორედ ამ „პატივების პოლიტიკაში" მარხია ძაღლის თავი, მხოლოდ ეს უადგილო სულგრძელობა ახშირებს ბოროტმოქმედებას ჩვენს ქარხნებში. მე სასჯელს არ ვითხოვ, სამართლიანობას ვთხოულობ. ვინც ფლანგავს ან ურცხვად ითვისებს საზოგადოების საკუთრებას, დეე, მანვე აგოს პასუხი საზოგადოების წინაშე. ხოლო ქართველი სამღვდელოება, რომელიც ვითომდა ძმურის ხათრით იფარავს დამნაშავეთ, დიდად შემცდარია, რადგან ავიწყდება, რომ უსათუოდ ბოროტმოქმედის დამფარავი თვითონაც ზნეობრივად მონაწილეა მისი ბოროტმოქმედებისა და დანაშაულის მიტევება ჩვენი დროის პირობებში სრულიად უადგილოა ისეთ შემთხვევებში, როცა იგი კი არ ასწორებს, არამედ უფრო აქეზებს დამნაშავეს და მიბაძვის მაგალითებს ამრავლებს წოდების ნაძირალში. სამღვდელოება რომ კრიჭაში ჩასდგომოდა ბოროტგამზრახველებს და თვითეულ შემთხვევაში უკლებლივ მოეთხოვნა გაფლანგული ფული, ეს ხომ არავითარი სასჯელი არ იქნებოდა. ამ შემთხვევაში ქურდი მხოლოდ ჯიბიდან უკან იღებს და საზოგადოებას უბრუნებს საზოგადოებისვე საკუთრებას, რომელიც იმან პატივება-შენდობის იმედით ქურდულად ჩაიჯიბა. ეს ზომა საზოგადოებისთვისაც დიდად სასარგებლოა, რადგან იმ უარებელ ფულით, რომელიც უკანასკნელ წლებში უგზო-უკვლოდ იკარგება საექსარხოსოს ქარხნებში, ბევრ რამე კეთილ საქმის მოგვარება შეიძლებოდა,—ნამდვილ დამნაშავის გამასწორებელიცაა, რადგან ზნეობრივი ტანჯვა, რომელსაც განიცდის ნდობა-დაკარგული,

სახელ-გატეხილი ქურდი უნაყოფო ქურდობის და ნაქურდალის გადახდის შემდეგ, საუკეთესო გონივრული სასჯელია,—და მშვენიერ გაკვეთილს მისცემდა იმ პირებსაც, ვისაც სამღვდელოება აყენებს ამ საქმეზე, აბა რომელ ქკუათა-მყოფელს მოუვა სურვილი, რომ მოიპაროს თუნდ დიდი თანხა, თუ კი დარწმუნებული იქნება, რომ ვერავითარი თავის მართლება ვერ უშველის და უსათუოდ გადაახდევინებენ დაკარგულს!

ეხლა-კი რასა ვხედავთ? განა შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქარხნებს პატრონი ჰყავსო? განა სათაკილო და საძრახისი არ არის სამღვდელოების გულგრილობა და დაუდევრობა ისეთ დაწესებულებებისადმი, რომელსაც შეუძლიან მრავალი ქვრივ-ობოლი შეინახოს და ბევრ საზოგადო საქველმოქმედო დაწესებულებას მისცეს არსებობას სახსარი? როგორც ვიცით, ტფილისის სემინარიის ძველ შენობის შემდეგ სანთლის ქარხნები ერთადერთი ქონებაა გაცარცულ ქართველ სამღვდელოებისა და, მაშასადამე, მამა დეპუტატები, რომელნიც ნათლიმამობით უადგილო და უაზრო „ქველმოქმედებას" ეწევიან სანთლის ქარხნების ქონებიდან, პასუხისმგებელნი არიან მთელი ქართველ ერის წინაშე.

„მაგრამ რა შეუძლიათ დეპუტატებს და როგორ შეიძლება მოისპოს ქურდობა სანთლის ქარხნებშიო?"—საფუძვლიანად მკითხავს დაინტერესებული პირი. მე საკმარისად შევისწავლე ეს საკითხი და დანამდვილებით ვამბობ, რომ შეუძლიანთ და შეიძლება. ადვილია ისე მოეწყოს საქმე, რომ ქარხნის ხაზინადარმა რამდენიც სურს გაფლანგოს და ქარხანას კი არაფერი დაეკარგოს.

და აი როგორ შეიძლება ესა.

არასოდეს არავითარი ჩვეულებრივი საჭიროება თითეულ ქარხნისა არ მოითხოვს, რომ ქარხნის ხაზინადრის განკარგულებაში იყოს ერთჟამიერად 1500-2000 მანეთზე მეტი. ყოველი ოპერაცია ამ ჯამის ზევით ქარხანას შეუძლიან მიანდოს სახელმწიფო ბანკის იმ განყოფილებას, რომელშიაც ქარხნის ფული ინახება. მაგრამ ავიღოთ მაინც იშვიათი მაქსიმუმი—სამი ათასი მანეთი, რომელიც შეიძლება როდისმე ერთბაშად დასჭირდეს ქარხანას. ამ თანხის მიხედვით სასურველი და საჭიროა, რომ საეპარქიო კრების შუამდგომლობით ეპარქიის მთავრობის მიერ სავალდებულოდ დაკანონდეს შემდეგი წესი: ა) წმინდა სანთლის ქარხნის ხაზინადარს (ზედამხედველს) დანიშვნისათანავე შეაქვს გირაოდ სამი ათასი მანეთი შესაძლებელ გაფლანგვის ასანაზღაურებლად; ბ) ხაზინადრის (ზედამხედველის) განკარგულებაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს სამი ათას მანეთზე მეტი და გ) აღნიშნულ ჯამის დაკარგვაში თავდასხმის და გატაცების გარდა პასუხისმგებელია თვით ხაზინადარი თავის გირაოთი, ხოლო თუ ხაზინადრის განკარგულებაში ამაზე მეტი ფული აღმოჩნდა, პასუხისგებაში უნდა იქმნეს მიცემული ქარხნის მთელი გამგეობა და სარევიზიო კომიტეტი (ტფილისში ექვსი კაცია). ამ წესის შემოღება სულ ადვილი საქმეა და აშკარაა, რომ ეს ზომა ერთხელ და სამუდამოდ მოსპობს ქარხნებში ჩვეულებრივ ქურდობას და სამღვდელოების ჩვეულებრივ „გულკეთილ შენდობას".

ამაოა შიში, რომ ვითომ ამ წესების წყალობით ულირსი, მაგრამ მდიდარი მაძიებელი ადგილისა ფეხს შედგამს ქარხანაში, ხოლო ღირსეული ღარიბი მის გარეშე დარჩება. ერთია—და, სანთლის ქარხანა კომერციული დაწესებულებაა და, მაშასადამე, ქარხნისადმი უფრო ღირსეული ის არის, ვისაც შეუძლიან რამენაირად უზრუნველჰყოს იგი ჩვეულებრივ ფლანგვისაგან და გირაოთი დააიმედოს ქარხნის პატრონები. მაგრამ, რაც ყველაფერზე უმეტესია, საქმეში იმაში გახლავთ, რომ სანთლის ქარხნის ხაზინადარს მაინცა და მაინც დიდი ღირსება და განსაკუთრებული ნიჭი არ მოეთხოვება. საკმარისია, რომ იგი იყოს საშუალო განათლებისა და იმდენი ქონების პატრონი, რომ შეეძლოს პასუხი აგოს სამღვდელოების წინაშე მატერიალურად. თვითეულ ქარხნის მთელი ბიუჯეტი ასი ათას მანეთს არ აღემატება და ამ თანხის საანგარიშოდ სრულებით საჭირო არ არის არც სპეციალური სწავლა-განათლება, არც ორმაგი ბუხგალტერია და არც უმაღლესი გეომეტრია. საჭიროა მხოლოდ ორი ენის ცოდნა, საშუალო განათლება და უსათუოდ გირაო, რომ თვითონ რამდენიც ნებავს დახარჯოს, მაგრამ ქარხანას არა დაეკარგოს რა. გირაო ერთად-ერთი საშუალებაა, რომელიც ქარხნების ხაზინადრებს (ზედამხედველებს) უეჭველად დაიცავს ადვილად გამდიდრების სურვილისაგან.

**ახელი.**

## თეატრი და ხელოვნება

**ნ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეი ქუთაისში.** 3 დეკემბერს, ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების დასი გამართავს სადღესასწაულო წარმოდგენას ნატალია მერაბის ასულის გაბუნია-ცაგარლის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის პატივსაცემლად. წარმოდგენილი იქნება: „ხანუმა"-დან პირველი მოქმედება; „ორი ობოლი"-დან მეხუთე მოქმედება; მილოცვა და ადრესების მირთმევა სხვა და სხვა დაწესებულებებისა და პირთაგან; აპოთეოზი. სხვა და სხვა დაწესებულებების წარმომადგენელნი, რომელთაც სურთ ადრესების მირთმევა, უნდა ჩაეწერნენ სიაში დ. ს. კლდიაშვილთან ქალაქის გამგეობაში, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

—

**„სამეგრელოს მთავარი ლევან" ქუთაისის სცენაზე,** 28 და 29 ნოემბერს ქუთაისში წარმოადგინეს ვასილ ყიფიანის ისტორიული პიესა „სამეგრელოს მთავარი ლევან". ამ პიესისთვის ქუთაისის დასი დიდი ხანი ემზადებოდა და კარგადაც მომზადებულა. განსაკუთრებით კარგად ჩაუვლია მეორე წარმოდგენას. ხალხიც დიდ ძალი დასწრებია. ხვალ დავბეჭდავთ ვრცელ წერილს პიესისა და წარმოდგენის შესახებ.

—

**ნ გაბუნია ცაგარლის იუბილეი.** ჩვენმა რედაქციამ მიიღო შემდეგი დეპეშები:

**ბრიუსელი.** ვულოცავთ საყვარელ მსახიობს 30 წლის შრომას სამშობლო სცენაზე. ვისურვებთ, საქართველოს ღირსეულად იდღესასწაულოს მოღვაწეობა „ხანუმის" და „ფრომარის" შემქმნელისა, რომლითაც იამაყებდნენ ევროპის საუკეთესო სცენები. **ქართველები.**

**ხ ... ნი.** ვულოცავთ ნატალია ცაგარლისას 30 წლის დაუღალავ და ნაყოფიერ მოღვაწეობას სამშობლო სცენაზე. ვუსურვებთ მრავალ-ჟამიერ სიცოცხლეს ჩვენის სცენის სასახელოდ.

**ხონულ ქალთა წრე.**

**სიღნაღი.** სიღნაღის ქართველი საზოგადოება უერთდება საერთო სიხარულს ნიჭიერ არტისტის ნატოს 30 წლის მოღვაწეობის დღესასწაულის გამო. ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს სამშობლო სცენის საკეთილდღეოდ.

**ვარშავა.** სალამს ვუძღვნით პატივცემულ იუბილიარს. ვუსურვებთ მრავალჟამიერ სიცოცხლეს.

**ვარშავის ქართველი სტუდენტობა.**

**პეტერბურგი.** პეტერბურგის ქართველი თვის-ტომობა სალამს უძღვნის ნიჭიერ თანამემამულეს, რომელმაც თავისი საუკეთესო დღენი ქართული სცენის აყვავებას მესწირა.

ამხანაგების მონდობილებით

**ლორთქიფანიძე**

**ხარკოვი** ხარკოვის ქართველი სტუდენტობა, რომელიც 30 ნოემბერს საგანგებოდ შეიკრიბა, სალამს უძღვნის იუბილიარს 30 წლის სასცენო მოღვაწეობის გამო. უსურვებს მსახიობს დიდხანს სიცოცხლეს სამშობლო სცენის სახარგებლოდ. **ლორთქიფანიძე.**

—

ჩვენ გაზეთში დაბეჭდილ იუბილეის ანგარიშში გამოგვრჩა ზოგი რამ. სალმოს მილოცვის დროს არტისტების მხრივ კონსტ. ყიფიანმა იუბილიარს მიმართა შემდეგის ადრესით, რომელზედაც ყველა არტისტს უწერია ხელი:

ძვირფასო ნატო!

დღევანდელმა ხალხის ხმა შეწყობილმა შენდამი პატივის ცემამ უკვე ნათლად გამოსთქვა, რამდენად ნაყოფიერი ყოფილა შენი შრომა და ამასთანავე ისიც აშკარად დაგვანახვა, რომ ჭეშმარიტი ღვაწლი თურმე ამაოდ არ იკარგება.

რამდენადაც შეგიძლიან თავი მოიწონო პირადად შენ, იმდენადაც თითეული ჩვენგანი ბედნიერია, ამაყობს, რომ ქართული თეატრის დაუღალავ მუშაკთა შორის, მას ჰყავსან ისეთი ღვაწლ-მოსილნი, როგორიც შენა ხარ.

ქართულ თეატრის მსახიობმა რა უნდა გითხრას, სად გამოსძებნოს ისეთი სიტყვა, რომელსაც შეეძლოს შენი დაფასება ამდენი ხნის თავგანწირულ მუშაობისათვის სამშობლო თეატრის ასაყვავებლად.

მსახიობმა რომ გაქოს შენ—ეს იმას ემგვანება—ქება, დიდება მიუძღვენას თავის თავს, რადგანაც შენა და ქართული თეატრი, შენა და ქართველი მსახიობი, საერთო, საზოგადო საქმეში მუდამ იყავით და იქნებით „ერთ-სულ და ერთ ხორც".

იცოცხლე დიდხან, ძველებურად —შენებურად, ემსახურე თეატრს, მაღლა შეაფრიალე ხელოვნების დროშა, რომ მისის ფრიალით ქართველთ გულში გაუღვიძო სიყვარული და ერთგულობა თეატრისადმი.

ბუნებისაგან უხვად დაჯილდოვებულს და დაღაფნილს მიუმატე ეს გვირგვინიც, გვირგვინი შენი ამხანაგებისაგან სულითა და გულით მოძღვნილი.

ამას გარდა ქუთაისის დასის სახელით იუბილიარს მიულოცა მსახიობმა ალ. იმედაშვილმა და სთხოვა, 3 დეკემბერს ქუთაისსაც ეწვიოს.

## სასამართლო

**ქრთამი პოლიციაში.**

1 დეკემბერს ტფ. სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე მეშვიდე ნაწილის ყოფილ უბნის ზედამხედველის დ. შიკალოვიჩისა.

1908 წელს 20 მარტს ტფ. მოქალაქის ცოლს ანასტასია ჰ ნჯარაძეს უთხოვნია პოლიცმეისტერისათვის მოწმობა იმის შესახებ, რომ მას, ჰყავს ერთად-ერთი შვილი ნიკოლოზი. მოწმობა სამხედრო საკრებულოსთვის სდომებია კენჭ შეხვედრილ შვილის გასანთავისუფლებლად. პოლიცმეისტერს ჰინჯარაძის თხოვნა მეშვიდე უბნის სამართველოსათვის გაუგზავნია ცნობების შესაკრებად. რამდენიმე დღის შემდეგ პოლიციის მიერ გამოწვეულ ჰინჯარაძეს თან მიუყვანია სიმონ ძიძიგური და იაგორ დანილოვი იმის დასამოწმებლად, რომ ჰინჯარაძეს მხოლოდ ერთი ვაჟიშვილი ჰყავს, რომლისგანაც მოელის ცხოვრებას. მორიგ უბნის ზედამხედველს დომენტი შიკალოვიჩს გამოუკითხნია შვილზე და საქმის დასაჩქარებლად მოუთხოვნია მარკებისათვის მანეთ ნახევარი, რაც საჭირო არა ყოფილა. ჰინჯარაძესაც მაშინვე გადაუცია და გამოსულა პოლიციიდან. ოთხი დღის შემდეგ ჰინჯარაძე კიდევ მისულა პოლიცმეისტერთან მოწმობის მისაღებად. მიუმართავს პოლიცმეისტერის თანაშემწის კანცელარისტისთვის, უკანასკნელსაც მოუთხოვია მოხელეებისათვის ეს საქმე და როდესაც საქმის მწარმოებელს მოუტანია ეს საქმე, განუცხადებია ცნობების შეკრების დროს პოლიციაში უკანონოდ აუღიათ მარკების ფული და მიუთვისებიათ. კანდელაკს გამოძიება დაუნიშნავს და ყველაფერი გამორკვეულა.

ეს საქმე ტფ. ოლქის სასამართლოს განუხილავს და ბრალდებულს დ. შიკალოვიჩისთვის ერთი წლით პატიმარობა გამასწორებელ განყოფილებაში გაგზავნა მიუსაჯნია, მაგრამ ბრალდებულს პალატაში განუსაჩივრებია.

პალატაში ჰინჯარაძემ დაამოწმა, რომ თვით შიკალოვიჩმა გამომართვა მანეთ ნახევარიო, მაგრამ დანარჩენმა მოწმეებმა ეს ვერ დაამოწმეს, რის გამო სამოსამართლო პალატამ გაამართლა დ შიკალოვიჩი.

**დარჩო მდივანოვის გატაცება.**

30 ნოემბერს ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე გიორგი შერმაზანოვისა. მკითხველთ ეხსომებათ, რომ შარშან მაისში გაიტაცეს ტფ. ყასაბი დარჩო მდივანოვი. მდივანოვისთვის მოუთხოვიათ 50,000 მ. მაგრამ 5,000 მანეთზე დასთანხმებიან და 27 დღის ტუსაღობის შემდეგ გაუნთავისუფლებიათ. ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი რომ კიდევ გაუცარცვავთ. მაშინ ეჭვით გიორგი შერმაზანოვი დაუტუსაღებიათ, რომელსაცსა სამართლოში დამტკიცებია გატაცებაშიც და თავდასხმაშიც მონაწილეობა

სასამართლომ დამნაშავედ იცნო შერმაზანოვი და მიუსაჯა ოთხი წლით კატორგაში გაგზავნა.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! როგორც წინად ვწერდით, სოფ. კულაშში წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა—სამკითხველოს სასარგებლოდ აზრათ გვქონდა წარმოდგენა გაგვემართა. შეგვისრულდა ეს სურვილი: 15 ნოემბერს ამ მიზნისთვის ითამაშეს „არსენა", დრამა ალექსან. ყაზბეგის და ვოდევილი „ორი მშიერი". ბილეთებით შემოვიდა 42 მ. 80 კ. კანფეტ-ხილეულებიდან 10 მ. 50 კ. სულ 53 მ. 38 კაპ. ხარჯი იყო: ქუთაისში წასვლა და ნებართვის აღება—4 მან., ნებართვისთვის მარკები—1 მ. 50 კ., სცენის მოწყობა—5მ. 30 კ., პარიკმახერი—3 მან. ხილი და ტკბილეულობა—7 მ. 45 კ, ეტლი ბოქაულს—2 მ. 50 კ., ბილეთების მარკები—5 მ. 54 კ., სამტრედიაში მგზავრობა და ეტლი ბილეთების დასარიგებლად—2 მ. 20 კ. სულ ხარჯი 31 მ. 49 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 21 მ. 89 კ. რომელიც გადაეცა სამკითხველოს ხაზინადარს თავ. ლევან გრ. მიქელაძეს. ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ყველა მოთამაშეს, რომელთაც დიდი დახმარება აღმოუჩინეს საქმეს: არც ერთი მათგანი არ იზარებდა შორი გზიდან მოსვლას, რეპეტიციებზე დადასწრებას, სცენის მოწყობას და კასტიუმების შოვნას. დიდი მადლობის ღირსია ყველა ისინი, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს, რათა ხელი შეეწყოთ სოფელში ამ ძნელ საქმის მოსაწყობად. დასასრულ, ნება მიბოძეთ, გულითადი მადლობა გამოვუცხადო აუარებელ დამსწრე საზოგადოებას.

გამგე წარმოდგენისა

**ვარლამ დავ—ძე ძიძიგური.**

P. S. ზოგისაგან, ვისაც ბილეთები ჰქონდა დაგზავნილი, ჯერ არაფერი მიგვიღია, გარდა ერთისა. იმედი გვაქვს, იმათგან ფულს მივიღებთ, რაც უკლებლად სამკითხველოს გადაეცემა. **ვ. ძ.**

—

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ „დროების" მახლობელ ნომერში დაბეჭდოთ ქვემო-მოყვანილი ანგარიში. სიღნაღის ქალთა წრისა 1908—1909 წწ. სულ საწევრო ფული შესდგა 232 მ. 75 კ. მატიცა გაიყიდა 10 მ. მარკები—28 მ. 60 კ. სულ 241 მ. 35 კ. „ილიას საღამოდგან" 1908 წელს შემოვიდა—92 მ.—1909 წ., 27 ოქტომ.,—110 მ. სულ 443 მ. 35 კ., რომელიც გადაეცა ტფ. ქალთა წრეს ილიას ფონდის გასაძლიერებლად.

გვარი და სახელი იმათი, ვინც საწევრო ფული შემოიტანა 1909 წ. ხუთ-ხუთი მანეთი ნ. ს. ანდრონიკაშვილისა და ნ. რ. ბაქრაძისა; სამ-სამი მანეთი; კ. ბადაშვილი. ოლ. ბარათაშვილისა, ა. დარჩიაშვილ სა, ოლ. მჭედლიშვილისა; 2 მ. 50 კ. მ. მჭედლიშვილისა, ალ. მჭედლიშვილისა, ან. დარჩიაშვილისა; ორ-ორი მანეთი: კ. ჯაფარიძე, მ. ჯანიაშვილისა, ოლ. ტყავაძისა, [illegible]; 1 მ. 50 კ. [illegible] ტურიაშვილისა, [illegible] შალიკაშვილისა; თითო მანეთი: [illegible] ანდრონიკაშვილისა, მ. ანდრონიკაშვილი, ნ. ჩოლოყაშვილისა, ექ. ტურიაშვილი ექ. ბურჯანიძე, ნატალია ჩეგიაშვილისა, ალ. შიშნიაშვილი, კნ. მ. ფავლენიშვილისა, ნ. გუდუშიძისა, მ. ზარდიაშვილისა, ოლ. ნანობაშვილისა, ექ. მოლოდინაშვილისა, ნ. სარუხანოვისა, ი. რ. ვაჩნაძე, ან. ნათიძისა, მინ. ნათიძისა, მ. ნაცვლიშვილისა, თამარ ზურიევისა, ელ. ბებურიშვილისა, ნ. ჯანიშვილისა, ნ. ბაქრაძე, გამიზნეგოვმა, ასიკო მოსაშვილი, მ. ნაცვლიშვილისა, გ. ბალარჯილიშვილი; 60 კ. ეგ. აბელაშვილი, 50 კ.—ნ. ი. ძიძიკაშვილი მ. ვაილო, ს. პეტრიგო, მ. მირიმანოვისა, გ. ჩუტკვერაშვილი, ილ. ბინჯიკაშვილი, თამ. ექვთიმაშვილი, ილ. ქუმსიშვილი, ან. ბალაშვილისა, თოდუა, ნ. ჯანიკაშვილისა, კ. ჯანიკაშვილი, ალ. თათარაშვილი, მარ. თათარაშვილისა, სან. ჯანიკაშვილისა, გ. უთურგაულისა მ. ნასიძე, ზ. ანდრონიკაშვილი; 40 კ.—სოფიო ავალოვისა, 25 კ.—ს. შოშიაშვილი ელ. ნადირაშვილისა, გ. ხელაშვილი, ის. ნაცვლიშვილი და ნ. მხატვრიძე.

სიღნაღის ქალთა წრის მონდობილობით

**ნ. ს. ანდრონიკაშვილისა.**


## განცხადებანი

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ცოხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—15)

**გამოვიდა ახალი წიგნი**

**ქართული მწერლობა**

(გამოცემა მ. ჯანაშვილისა წ. მეორე)

**ახალი საუნჯე:** აღწერა. პეტრიწი ფილოსოფოსი. სერაპიონ ზარზმელი და მისი ცხოვრება. ანდრია მოც. მიმოსვლა. **ჩემი შენიშვნები:** ჰსკაველი. ჰირკანია-ყუბა-ალანეთს გაიგზავნა მისიონერები. მარრის „არქაუნას" გამო. უნჭილი მასალის გამოლაგება. ქართული ნამდვილიც ყალბად ჩნდება. „ივერიის" გამო. ქართ. ენის „სემიტურობისა" და სხ. კითხვების გამო. სკვითიაში მყოფი საქართველოში ყოფილა. ევსტათის წამების გამო. დიდგვარიანი იყო. 100 და არა 8070 ჯავახიშვილის ერთ წერილის გამო. (დამატება): Гренъ, „Объ эпохѣ Тамары". „О происх. груз классиковъ". „Тамара Вет. и Ѳамара греческая". 244 გვ. ფასი 80 კაპ. იყიდება მ ხ ო ლ ო დ წ. კ. საზ. მაღაზიაში (3—1)

**კახეთის მევენახეთა ამხანაგობა**

**ძმობა**

ამით აცხადებს, რომ კახეთში ღვინის მოუსავლობისა გამო ამა 1909 წ. 5 დეკემბერიდან შემდეგ ფასებში გაიყიდება ღვინოები

**თითო ბოთლი** № 1—25 კ., № 2—30 კ., № 3—50 კ. № 4—80 კ. № 5—1 მანეთი

მუდმივ მუშტრებს და ნარდათ მოვაჭრებს %/% დაეთმობათ შეთანხმებით.

Адресъ: Тифлисъ, „Дзмоба", Телефонъ № 1036. (3—562—2)

**კახეთის მევენახეთა ამხანაგობა**

**საერო**

ამით აცხადებს, რომ ამა 1909 წლის 1 დეკემბრიდან ღვინოები შემდეგ ფასებში გაიყიდება:

№ 1—25 კ., № 2—30 კ., № 3—40 კ., № 4—50 კ., № 5—1 მ.

მუდმივსა და ნარდად მოვაჭრეებს რამდენიმე პროცენტი ეთმობათ.

Адресъ: Тифлисъ. „Саэро". Телефонъ N 720. (3—561—2)




ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ „Кайзеръ"

**ალექსანდრე როსტომის-ძე თაბაგარის**

**მაღაზია ქ. ქუთაისში.**

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ"-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ადრესი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—94)